

საქართველოს
ვიწვევნი არსი

შედეგები



2019

შინაარსი:

გნივხელოვანი მოვლენები

- > რადიოს დაფარვის უპრეცედენტო ზრდა
- > ტექნიკის შესყიდვა
- > გადაცემები
- > საერთაშორისო პროექტები
- > ტელეფილმები
- > სპორტი
- > გარეწარმოება
- > ეთერის მონიტორინგის პროგრამა
- > EBU აკადემია
- > IBC
- > გრანტები
- > პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“
- > ახალი სტუდიები
- > ავლიკაცია
- > ჯილდოები

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო კოლიტივის შესახებ
2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ
3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ
4. დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ
5. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ
6. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ
7. საჭარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ
8. ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ
9. საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ
10. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

▶ **საქართველოს პირველი არხი** უსაფრთხო მედია

საქართველოს პირველი არხი, როგორც უსაფრთხო მედია, 2020 წლიდან ეთერში აღარ განათავსებს სათამაშო ბიზნესის რეკლამას.

უსაფრთხო მედია

უსაფრთხო მედიის კონცეფცია გულისხმობს ისეთ საბალანსო ეთერს, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის ყველა წევრისთვის უსაფრთხო, მხოლოდ გადაემოწმებული, სასარგებლო და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

სწორედ ასეთ კონცეფტს სთავაზობს საქართველოს პირველი არხი მაყურებელს.

რადიოს დაფარვის უკრეცადენტო ზრდა

პროექტი დაიგეგმა და განხორციელდა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან და ტელერადიოცენტრთან ერთად.

2019 წლის ბოლოსთვის რადიომაუწყებლობამ მოიცვა მთელი საქართველო.

2019 წელს საქართველოს რადიოს ემსახურება 52 გადამცემი.

განახლდა არსებული გადამცემები და დაემატა 25 ახალი.

საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე, 24 სამაუწყებლო ზონაში-**საქართველოს რადიო** პირველად გაჟღერდება.

დანარჩენ ტერიტორიაზე, 18 სამაუწყებლო ზონაში მაუწყებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.


ავტომსმენელთა უკეთ მოცვის მიზნით, კენტ მეათედებიან სიხშირეებზე უკვე გადავიდა ყველა გადამცემი.

გადამცემები RDS სისტემებით აღიჭურვა.

RDS სისტემები უზრუნველყოფს არხის ცნობადობას და ავტომობილის ერთი სამაუწყებლო ზონიდან მეორეში გადასვლის დროს ახალ სიხშირეზე ავტომატურ გადაყვანას.

2019 წალი განახლებული საქართველოს რადიო

რადიოს დაფარვის ზონა



▶ ტექნიკის შესყიდვა

პირველი არხი ახორციელებს მასშტაბურ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაიარაღებას.

2019 წელს შესყიდულია:

- ▶ სტუდიური განათება
- ▶ ეკრანები
- ▶ მულტიმედიური მოწყობილობის სისტემები
- ▶ კომპიუტერები



გადაცემა - 2019 წელი

35 გადაცემა
ორიგინალური ქართული პროდუქტი

- 1 მოაგვა
- 2 მოაგვა დღის თემა
- 3 აქტუალური თემა
- 4 ახალი კვირა
- 5 42-ე პარალელი
- 6 თავისუფალი ხედვა
- 7 კვირის ინტერვიუ
- 8 ბიზნესკარტინორი
- 9 ძრიბუნა
- 10 პირველი აუდიტორია
- 11 რეალური სივრცე
- 12 გამომჩიებალი რეკორდიორი
- 13 ახალი დღე
- 14 პირადი ეიფი
- 15 ნახუადღევს
- 16 თაიგაუთი
- 17 ფარმა
- 18 ექსპონათით მოყოლილი საეართველოს ისტორია
- 19 საეართველოს ვარსკვლავი
- 20 მასტარშეფი
- 21 წიგნების თარო
- 22 წიგნების თარო სტუდენტური
- 23 მარტივი ლოგიკა
- 24 ხარ თუ არა გეეევესაკლასალეა ჭკვიანი?
- 25 კაცები
- 26 ლამის შოუ
- 27 რანიდა
- 28 რა? სად? როდის?
- 29 მუსიკის 12 მოციეული
- 30 ილუზიონი
- 31 დოსია
- 32 თელაგუგაუმი
- 33 ჰოვლა, ჩვენ ვცოცხლობთ
- 34 აკუსტიკა
- 35 ხალხური სიგლარის გაკვეთილავი



▶ 26 მაისი

„გაიზიარე და გააზიარე მუსიკა“

„რანინას“ დიდი ფინალი



საქართველოს პირველმა არხმა 26 მაისი განსხვავებული სატელევიზიო პროგრამით აღნიშნა.


26 მაისს, დილის 10:00 საათიდან პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა რუსთაველის გამზირიდან დამოუკიდებლობის დღის დღის აღსანიშნავად მიმდინარე ღონისძიებები. მსურველმა პირდაპირ ეთერში იხილა თავისუფლების მოედნიდან ფიცის დადების ცერემონია და პირდაპირი ჩართვა ალლემიდან.

20:00 საათზე საქართველოს პირველმა არხმა რესპუბლიკის მოედანზე პირველი გრანდიოზული კონცერტი გამართა, სლოგანით: „გაიზიარე და გააზიარე მუსიკა“ საბავშვო მუსიკალური პროექტის, „რანინას“ დიდი ფინალი.



▶ ქართული მხატვრული სერიאלები

- > იდეალური დედა;
- > ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე;




▶ განახლებული საქართველოს რადიო

გადაცემაები 2019
28 გადაცემა


**ინფორმაცია ყოველი საათის ბოლოს 10 წუთი,
ხოლო ყოველ 25 წუთზე 5 წუთი**

- > პიკის საათი
- > ახალი ამბები
- > ესტაფეტა
- > ღია სტუდია
- > სახლისკენ
- > საუკეთესო წიგნები
- > ჩაი ორისთვის
- > ქართული კლასიკური მწერლობა
- > ჩაკრულო
- > ლაგიონი
- > ჩვენი სკოლა
- > კადანცია
- > რადიოთეატრი
- > ბიზნესპარტნიორი




ახალი და კონკურსის შედეგად შერჩეული გადაცემაები

- > მუსიკის 12 მოციულები
- > მთელი ეს როკი
- > რადიო აკუსტიკა
- > ისტორიის პოპ-გაკვეთილები
- > სი ბემოლ ვითამინი
- > კლასიკა ყველასთვის
- > უცნობი მუსიკა
- > ჯაზოფრენია
- > ხალხური სიმღერის გაკვეთილები
- > რადიო ქვეყრასი
- > რადიოკალენდარი
- > ფერმა
- > არტნიუსი
- > მსოფლიოს ამბები



▶ საერთაშორისო პროექტები

- GOLDEN GLOBE დაჯილდოება;
- ოსკარის დაჯილდოების ცერემონია;
- ევროვიზიის სიმღერის კონკურსი;
- საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსი.



▶ ტელეფილმები

საზოგადოებრივი მაუწყებელი ქართული ორიგინალური დოკუმენტური პროდუქტის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია ქვეყანაში, გარდა ამისა, მიზნად ისახავს ამ მიმართულებით ინდუსტრიის მხარდაჭერას და ინვესტიციის ჩადებას.

გადაცემული ჟილდოები:

- > სპეციალური ჟილდო - 5000 ლარი გადაეცა თბილისის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის „სინედოკი“ გამარჯვებული ქართული ფილმის ავტორს;
- > სპეციალური ჟილდო - 20 000 ლარი გადაეცა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის „პრომეთე“ საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ავტორს;
- > სპეციალური ჟილდო - 20 000 ლარი გადაეცა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის „პრომეთე“ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის ავტორს.

საქართველოს პირველი არხი უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას ეროვნული კინოცენტრის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში გამარჯვებული პროექტებისთვის, მათ შორის ელდარ შეგნელიას ფილმისთვის “ჭა”.

კოპროდუქცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანადაფინანსებით, კოპროდუქციის ფარგლებში, მიმდინარეობს შემდეგი ფილმების გადაღება. ფილმების პრემიერა შედგება საქართველოს პირველი არხის ეთერში.

- > ვინდვრის ყვავილაბი - რეჟ. ლანა ლოდობარიძე
- > საბურაის სიკვდილი - რეჟ. ლევან თუთბარიძე
- > გულამათი - რეჟ. თამთა გაბრიჩიძე
- > გვიანი შამოდგომა (4 სერიანი ფილმი) - რეჟ. გია ბარაბაძე

▶ ვირველი არხის დოკუმენტური ფილმები

- > ინთერაქტივი
- > ვერიკო
- > ბზვანსკი და მეგობრები
- > კაძრა მელიქიშვილი
- > საიდუმლო კარტოთეკა
- > პრესა და ერი
- > შავ-თეთრი
- > უცხო
- > გურამ ბზვანელი
- > უზგული - ჩემი სამოთხე
- > ივანე ბერიძეშვილი
- > ჭამბაჯის კალენდარი (ჭამბაჯები)



▶ ვირველი არხის დოკუმენტური სერიאלები

- > იონას საქართველო - 20 სერია
- > თბილისის კართან - 8 სერია
- > სტოქსი...
კოლკოვნიკის დახეული წერილები - 16 სერია
- > საიდუმლო კარტოთეკა
- > დაკარგული წიგნები



▶ დაბიუტი

პირველი არხისა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის „დებიუტი“ ფარგლებში, დაფინანსდა 7 ფილმის გადაღება.

- > ფოტო გადაღება - ილია ასიტაშვილი
- > მილა - სალომე ვაფხვაძე
- > სასტუმრო მირაჟი - გურამ ბაქრაძე
- > flyt - გრიგოლ ნოდია
- > შავი ზღვა - თინათინ ჯემრიძე
- > თანაგრძობა - ზვიად ციკოლია
- > ღამის სკოლა - გრიგოლ სამსიანი

გამოიყანა
შანსი!



სპორტი 2019

პირველი არხი - სპორტის მუდმივი მხარდამჭერი

2019 წელი, სპორტული მიღწევების თვალსაზრისით, გამორჩეული იყო ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველოს სპორტსმენებმა 1500-მდე სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს.

2019 წლამდე საქართველოს ერთდროულად 6 მსოფლიო ჩემპიონი არასდროს ჰყოლია.

ქართული და მსოფლიო სპორტის ყველაზე მასშტაბურ ტურნირებს, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს, ქართველი მაყურებელი მთელი წლის განმავლობაში საქართველოს პირველი არხის სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით ადევნებდა თვალ-ყურს.




ფეხბურთი

- > ევრო 2020-ის კენჭისყრა
- > FIFA 2019 წლის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოება
- > ევროკა 2020-ის შესარჩევი
- > FIFA საკლუბო გუნდების მსოფლიო თასი
- > საქართველოს ეროვნული ლიგა
- > სუპერლიგა

მინი ფეხბურთი

- > ზამთრის თასის გათამაშება



კალათბურთი

- > მსოფლიოს მე-18 საკალათბურთო ჩემპიონატის გახსნა
- > 3X3 ევროპის ჩემპიონატი (18 წლამდელები)
- > მსოფლიო ჩემპიონატი



რეგბი



- > მსოფლიო ჩემპიონატი



წყალბურთი

- > სუპერტოპალოს ჩემპიონატი
- > ევროპის ჩემპიონატის U17 გუნდები
- > ჩემპიონთა ლიგა
- > ევროპის ჩემპიონატი U17



ძალოსნობა

- > ევროპის ჩემპიონატი



ჭიდაობა




- > ფალაშვობა 2019



მინსკი 2019

▶ გადაცემა „ტაიმაუტი“

2019 წელს მომზადდა და ეთერში ჩაეშვა ყოველდღიური სპორტული გადაცემა „ტაიმაუტი“, რომელსაც ოთხი წამყვანი უძღვება: გიორგი თვალაბეიშვილი, ხატია ალადაშვილი, ლუკა ჭოჭუა და ოთარ გიორგაძე. გადაცემა როგორც ყოველდღიურ, ისე მსოფლიო სპორტის ყველაზე მნიშვნელოვან სიახლეებს აშუქებს და საინტერესო სტუმრებს მასპინძლობს. კომპეტენტური შეფასებებითა და ექსკლუზიური თემების წარდგენით, გადაცემამ უკვე მოიპოვა პოპულარობა სპორტის მოყვარულთა წრეებში.



▶ გადაცემა „ლეგიონი“



„საქართველოს რადიოს“ საეთერო ბადეს გარდა, გადაცემისა „ესტაფეტა“ (ავტორი და წამყვანი ე. ბილიხოძე), დაემატა ახალი გადაცემა „ლეგიონი“ (ავტორი და წამყვანი რატი ხვისტანი), რომელიც კვირის ყველაზე საინტერესო სპორტული მოვლენების ერთგვარი შეჯამებაა.


▶ „500? რამდენიც გინდა“

2019 წელს მომზადდა და ეთერში ჩაეშვა ქართველი სპორტსმენების სატელევიზიო პორტრეტები და ვიდეორგოლები: „500? რამდენიც გინდა“.

▶ კრეიუზ კლასის დოკუმენტური სერიאלები


BBC WORLDWIDE LIMITED

- > მუზეუმის საიდუმლოებანი - 22 სერია;
- > ლურჯი კლანეთა - 8 სერია;
- > ინდის საგანძური - 3 სერია;
- > ცივილიზაცია - 6 სერია;
- > რამბრანდტი;
- > ვან გოგი;
- > მეფე ლუდვიგ მეორის ზღაპრული სასახლა;
- > შედევის ცხოვრება: ჰვრიდან გარდამოსხნა;
- > შედევის ცხოვრება: იუდას ამბორი.



NATIONAL GEOGRAPHIC

- > გონების თამაშები - Brain Games - 48 სერია;
- > ჩამოთვლილთაგან არც ერთი - 20 სერია;
- > ქუჩის გენიოსები - Street Genius - 12 სერია.




DISCOVERY

- > ტორტების მეფე - CAKE BOSS;
- > ორი კაბა და ერთი არჩევანი - SOMETHING BORROWED SOMETHING NEW.



ARTE

- კავაროტი - პოპულარული მომღერალი - Pavarotti, Pop Tenor;
- რეტრო რევოლუცია - Retro Revolution;
- პარიზული მოდა - 1945-1968 Paris Couture 1945-1968;
- მარჯალო მასტროიანი - იდეალური იტალიელი - Mastroianni, The Ideal Italian;
- ბრიტანული სტილი - British Style;
- პარიზი ღამე იღვიძებს - Midnight In Paris Cabaret;
- აგათა კრისტი ერკიულ ჰეროს წინააღმდეგ - Agatha Christie VS Hercule Poirot;
- ალექსანდრ მაკ - ჟუნი - Legacy Of Alexander Mcqueen;
- გახდა კარი გრანტი - Becoming Cary Grant;
- ბარდო-სიკულვილი - Bardot, The Misunderstood;
- იზაბელა როსელინი - ჩემი ველური ცხოვრება - Isabella Rossellini: My Wild Life;
- ბარბარა სტრეიზანდი ახალი ხატების შექმნა - Barbra Streisand Becoming An Icon;
- ალან დელონი - Alain Delon, A Unique Portrait.



▶ კრეიუბ კლასის მხატვრული სერიאלები

- ▶ ძველი ხიდის საიდუმლო - ესპანური, კომპანია Boomerang TV
- ▶ ექვსი და - ესპანური, კომპანია Mediaproduccion, S.L.U.
- ▶ ეალაბის სამოთხე - იტალიური, კომპანია Rai Com S.P.A.
- ▶ დიდი ძარცვა - ბრაზილიური, კომპანია Globo Comunicacao E Participacoes S.A.
- ▶ ბერლინის განყოფილება - ამერიკული, კომპანია Paramount Pictures International Limited
- ▶ სახლი ტყეში - პოლონური, ადამ მიცკევიჩის სახელობის ინსტიტუტი
- ▶ წმინდა ინგლისური მკვლელობა - ინგლისური, კომპანია Film Quest Entertainment
- ▶ პრაექტივანტი - იტალიური, კომპანია Rai Com S.P.A.



▶ კრედიტ კლასის მხატვრული ფილმები



SONY

- ▶ ფინანსური მოსტრი
- ▶ რიკი და ფლავი
- ▶ ჯარისკაც ელისი
- ▶ ჯანგო
- ▶ გოგონა დრაკონის ტაბუტი
- ▶ და ვინის კოდი
- ▶ თუბსი



PARAMOUNT PICTURES INTERNATIONAL LIMITED

- ▶ ამერიკული სილაგა
- ▶ შაყვარაბულები
- ▶ ჩვენ ანგელოზები არ ვართ
- ▶ დამიჯირა, თუ შავიძლია
- ▶ ტარმინალი
- ▶ ფორასტ გამპი
- ▶ ცვლილებების გზა
- ▶ ნათლია (სამი ფილმი)
- ▶ მალლა ცაში
- ▶ რიგითი რაიანის გადასარჩენად
- ▶ შეუსრულბალი მისია (ხუთი ფილმი)
- ▶ ვანილის ცა
- ▶ ღამა მანჯატანა
- ▶ ფირმა
- ▶ მსოფლიო სავაჭრო ცენტრი




FILM QUEST ENTERTAINMENT

- > აფრიკელი
- > ბინგო-ბონგო
- > ვარდის სახელი
- > გააღეთ, ჰოლივუია
- > რა სურთ ქალებს
- > აგელი
- > მალაღი, ქერა მამაკაცის დაბრუნება
- > ზორო
- > მამიკოები
- > მახუთა ელაგნეტი
- > ჩხვლატა ქოლგით
- > ტაქსი (5 ფილმი)
- > ჭირვეულის მორჭულაბა
- > ადამიანი-ორკესტრი



CENTRAL PARTNERSHIP

- > 12 წელი მონობაში
- > 99 ფრანკი
- > ვიკი, კრისტინა, ბარსელონა
- > ლურჯი ჟანგინი
- > სიცრუის ილუზია
- > ლა-ლა ლანდი
- > გელანეოლია
- > შუაღამე პარიზში
- > ლადი
- > მწარალი-მორვენაბა
- > დამბვრული ყვავილაბი



▶ გარეწარმოება

2018 წელს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შედეგად, შესაძლებელი გახდა პირველი არხის მიერ კანონის მიერ განსაზღვრული ვალდებულების შესრულება გარეწარმოების პროექტების ეთერში განთავსების მიმართულებით.

საზოგადოებრივ მაუწყებელს გაუჩნდა შესაძლებლობა, აუდიოვიზუალური ნაწარმის შესყიდვისას უპირატესობა ხარისხს მიანიჭოს.


2017 წელი

გარეწარმოება

0%

შიდაწარმოება

100%




2019 წელი

გარეწარმოება

14%

შიდაწარმოება


86%



▶ საერთაშორისო წარმომადგენლობა

საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰყავს წარმომადგენელი ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU):

- გენდარული თანასწორობის ჯგუფი
- რადიოკომიტეტი
- მედიაკომიტეტი
- იურიდიულ კომიტეტი
- ახალი ამბავის ქვაკომიტეტი



► რეგიონული აკადემია

EBU

OPERATING EUROVISION AND EURORADIO

საქართველოს პირველი არხისა და ევროპის მაუწყებელთა კავშირის თანამშრომლობით, მუშაობს მუდმივმოქმედი რეგიონული ჟურნალისტური აკადემია.

ტრენინგები ტარდება საერთაშორისო ტრენერების მიერ და განკუთვნილია:

- > მედიამენეჯერებისთვის
- > რეპორტიორებისთვის
- > პროდიუსერებისთვის
- > სოციალური მედიის მენეჯერებისთვის

2019 წლის საქთაგბარი

- > ტრენინგი - „სოციალური მედიის საზუალაბით აგვის თხრობა“
- > ტრენერი - ციფრული და საბაუწყებლო მედიის საერთაშორისო მრჩეველი და ტრენერი ჯასტინ კინგსი.

2019 წლის მაისი

- > ტრენინგი - Going Mobile
- > ტრენერი - მარკ ეგანი - სატელევიზიო და მულტიმედია გარემოში მუშაობის ახალი მიდგომების მიმართულებით

2019 წლის თებერვალი

- > რეგიონული კონფერენცია-სამინარი „ციფრული ტრანსფორმაცია“
- > სამინარში მონაწილეობა 10 ევყენის საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელმა მიიღო.

► IBC

მსოფლიოში უდიდესი მედიის და ტექნოლოგიების ფორუმი IBC ფორუმზე სიტყვით წარსდგა საქართველოს პირველი არხის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე თინათინ ბერძენიშვილი, თემით - მედიაში გენდერული თანასწორობა.

▶ გრანტები

მოამბის სინქრონული თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

საქართველოს პირველი არხი, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს ეთნიკური უმცირესობებისთვის - „მოამბის სინქრონული თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე“.

ქართული ენის ტელე-ოლიმპიადა არაქართულენოვანი სკოლებისთვის

საქართველოს პირველი არხი აშშ-ის საელჩოსთან ერთად, პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“ ფარგლებში, „არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული ენის ტელე-ოლიმპიადას“ ჩაატარებს. პროექტი მიზნად ისახავს არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას, ასევე აღნიშნულ სკოლებში სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას.



#ჩვენიაქართულიანა

დასავლურ ღირებულებებზე მითების მსხვრევა

საქართველოს პირველი არხი, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, პროექტს „დასავლურ ღირებულებებზე მითების მსხვრევა“ ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს იუმორისტული ვიდეოების მეშვეობით დასავლურ ღირებულებებზე მითების მსხვრევას. იუმორისტული ვიდეოები განთავსებულია სატელევიზიო ეთერში და ვრცელდება სოციალური ქსელების საშუალებით.

▶ მრავალფეროვანი საქართველო

პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“ მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე ხელმისაწვდომობას, ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებას, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის ხელშეწყობას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ პლატფორმა 1tv.ge ფუნქციონირებს შვიდ ენაზე. პარალელურ რეჟიმში ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მომხდარი ახალი ამბები ითარგმნება აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.



▶ ახალი სტუდია

დაიგეგმა ეროსი მანჯგალაძის სახელობის ლიტდრამ სტუდიის მოდერნიზება, გარემონტება და სააპარატო სტუდიის ახალი აპარატურით აღჭურვა, რათა ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტუდიამ შეძლოს თანამედროვე გამოწვევების დაძლევა და მაღალი ხარისხით ჩაიწეროს თეატრალური, მუსიკალური გადაცემები.




მასშტაბური ტექნიკური გადაიარაღების ფარგლებში, 2019 წელს დაიწყო ახალი მაღალტექნოლოგიური სტუდიების მომზადება. სამუშაოები 2020 წელს დასრულდება. საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“, ასევე ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, თანამედროვე სტუდიებიდან გავა ეთერში. გარემონტდა **რადიოს საეთერო** სტუდია.



▶ აპლიკაციები

საქართველოს რადიოს აპლიკაცია

საქართველოს რადიოს აპლიკაცია აუდიტორიას საინფორმაციო გამოშვების მოსმენის ახალ შესაძლებლობებს აძლევს.



#ნიგნებისთაროMEDIA




**მოზილური აპლიკაცია
"ნიგნების თარო"**

საქართველოს პირველი არხის ახალი აპლიკაცია ახალგაზრდებისთვის. პროექტის სლოგანია - "ასახე ანმყო და შექმენი მომავალი."

პროექტის მიზანია, მთელი საქართველოს მასშტაბით გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები, როგორც მოსწავლეები, ისე სტუდენტები.

აპლიკაციის ფარგლებში სხვადასხვა კონკურსი იმართება. გამარჯვებულ ავტორებს გადაეცემათ პრიზები.


ახალი ამბები „ვოთსაფით“



საქართველოს პირველმა არხმა „ვოთსაფის“ საშუალებით ახალი ამბების გავრცელება დაიწყო.

▶ ზილდოები

- > საქართველოს პირველი არხის პროექტს „მრავალფეროვანი საქართველო“ **ტელერანტობის ქომაგის** ზილდო გადაეცა;
- > საქართველოს პირველი არხის მუსიკალური გადაცემა „აკუსტიკა“ და არხის მუსიკალური პროდიუსერი დავით ევგენიძე პროექტის **„ემაყები თბილისს“** გამარჯვებულები გახდნენ;
- > საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტი მარიამ მენაბდე **პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს** მიერ დაფინანსებული პროექტის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა;
- > 2019 წლის დეკემბერში გადაცემა „ფერმას“ მიენიჭა **ბრენდის წოდება** სოფლის მეურნეობის განვითარებაში და ფერმერული საქმიანობის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის;
- > ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, „პენიტენციური და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“, „რეალური სივრცის“ ვებ პროექტი „დაბრუნება“ ერთ-ერთ **საუკეთესო ჟურნალისტურ ნამუშევრად** დასახელდა;
- > ზილდო **„ოლიმპიური მოძრაობის მედიამხარდაჭერისთვის“** -ქართული და მსოფლიო სპორტის საუკეთესოდ გამუქებისთვის საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა „ოლიმპიური მოძრაობის მედიამხარდაჭერისთვის“ საქართველოს პირველი არხი, სპეციალური პრიზით დააჯილდოვა;
- > გამოიცა მსმენელის საყვარელი გადაცემის “ქართული კლასიკური მწერლობა” დისკები, მისი ავტორი და წამყვანია თამაზ ტყემალაძე მწერლობის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს პრეზიდენტმა **„ღირსების ორდენით“** დააჯილდოვა;
- > საქართველოს **წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ**, წიგნის საახალწლო ფესტივალზე, „პიკის საათის“ პროდიუსერი ეკა ტალახაძე დააჯილდოვა წლების განმავლობაში საზოგადოებრივი რადიოს საშუალებით თანამედროვე ქართული საგამომცემლო და ლიტერატურული პროცესების მხარდაჭერისა და სრულყოფილად ასახვისათვის“.



**საზოგადოებრივი
მაუწყებლის სამაუწყებლო
პოლიტიკის შესახებ**

1



▶ საქართველოს პირველი არხი

პირველი არხის ბოლო სეზონების მნიშვნელოვანი მიღწევა თანმიმდევრული პროგრამული პოლიტიკის გატარება და შენარჩუნებაა. ამ პოლიტიკის შედეგია არხის აუდიტორიის ლოიალობის მუდმივი ზრდა და აუდიტორიის გაფართოების მყარი ტენდენცია.

2019 წლის სატელევიზიო სეზონზე საქართველოს პირველმა არხმა შეძლო საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების ეფექტიანად წარმოჩენა და აუდიტორიის კონცენტრაცია კონკურენტუნარიანი გადაცემებისა და პროექტების შეთავაზებით.


ბოლო სეზონების წარმატებული გადაცემების გაძლიერების გარდა, მნიშვნელოვანი მიმართულება ქართული დოკუმენტალისტიკის და სატელევიზიო ინდუსტრიის განვითარება გახდა. საქართველოს პირველი არხი თავად აწარმოებს დოკუმენტურ ფილმებსა და სერიალებს, რომელშიც ასახულია საქართველოს ისტორია, საქართველოს ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან, პერსონალები და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი შემეცნებითი ღირებულების მასალა.

შიდა წარმოების გარდა, საქართველოს პირველი არხი ხელს უწყობს დამოუკიდებელი სტუდიების განვითარებას, მათთან თანამშრომლობის შედეგად კი შეიქმნა პოპულარული მხატვრული სერიალი „იდეალური დედა“, მეგაშოუები: „მასტერშეფი“, „საქართველოს ვარსკვლავი“ და სხვა გადაცემები.


საზოგადოებრივი მაუწყებელი ამკვიდრებს ობიექტურობასა და წარმატებაზე ორიენტირებული გაშუქების პრაქტიკას, რაც ემსახურება სატელევიზიო ბაზარზე ნეგატიური და პოზიტიური ინფორმაციის ბალანსს. ამას ამტკიცებს ბოლო პერიოდში ჩატარებული საექსპერტო მედიაკვლევებიც.

2019 წელს საქართველოს პირველი არხის აუდიტორიის ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს პირველი არხის საპროგრამო პოლიტიკა წარმატებულია და აუდიტორიის გაფართოების პოტენციალი არსებობს. 2019 წელს საქართველოს პირველი არხის საშუალო რეიტინგი (AMR) 14.32%-ით გაიზარდა, საერთო აუდიტორია (RCH) კი 28 821-ით.

საშუალო რეიტინგი (AMR)




პირველი არხის მოცვა (RCH)




2019 წელს საქართველოს პირველი არხის აუდიტორია თითქმის ყველა პროგრამული მიმართულებით დინამიკურად იზრდებოდა.


სოსილური და პოლიტიკური პროგრამები




კულტურა • ზემოცნება • განათლება



მხატვრული პროგრამები




გასართობი პროგრამები




პრაიმ ტაიმში მუსიკალური და გასართობი პროდუქტის განთავსებამ ხელი შეუწყო მაყურებლის მოზიდვას, რაც აისახა სარეიტინგო მონაცემებზე.

საშუალო გარჟანაბალი (SHR)



2019 წლის სატელევიზიო სეზონის პროგრამული გადანაწილება:



2019 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეინარჩუნა მხატვრული ხარისხის ნიშნით ფილმებისა და სერიალების შერჩევის ტენდენცია. გასულ სეზონზე ეთერში განთავსდა პოპულარული იტალიური და ესპანური ტელესერიალები. საქართველოს პირველი არხის ტელესერიალებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქართული სერიალი „იდეალური დედა“.

▶ საქართველოს პირველი არხი უსაფრთხო მედია

საქართველოს პირველი არხი, როგორც უსაფრთხო მედია, 2020 წლიდან ეთერში აღარ განთავსებს სათამაშო ბიზნესის რეკლამას.

უსაფრთხო მედიის კონცეფცია გულისხმობს ისეთ სატელევიზიო ეთერს, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის ყველა წევრისთვის უსაფრთხო, მხოლოდ გადამოწმებულ, სასარგებლო და საჭირო ინფორმაციას. სწორედ ასეთ კონტენტს სთავაზობს საქართველოს პირველი არხი მაყურებელს.

**უსაფრთხო
მედია**

რადიოს დაფარვის უპრეცედენტო ზრდა

პროექტი დაიგეგმა და განხორციელდა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან და ტელერადიოცენტრთან ერთად.

2019 წლის ბოლოსთვის რადიომაუწყებლობამ მოიცვა მთელი საქართველო.

2019 წელს საქართველოს რადიოს ემსახურება 52 გადამცემი.

განახლდა არსებული გადამცემები და დაემატა 25 ახალი.

საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე, 24 სამაუწყებლო ზონაში, **საქართველოს რადიო** პირველად გაუღერდება.

დანარჩენ ტერიტორიაზე, 18 სამაუწყებლო ზონაში, მაუწყებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.


ავტომსმენელთა უკეთ მოცვის მიზნით, კენტ მეათედებიან სიხშირეებზე უკვე გადავიდა ყველა გადამცემი.


გადამცემების RDS სისტემებით აღიჭურვა.

RDS სისტემები უზრუნველყოფს არხის ცნობადობას და ავტომობილის ერთი სამაუწყებლო ზონიდან მეორეში გადასვლის დროს ახალ სიხშირეზე ავტომატურ გადაყვანას.

2019 წალი განახლებული საქართველოს რადიო

რადიოს დაფარვის ზონა





**მიმდინარე და
სამომავლო პროგრამული
პროექტების შესახებ**

2



მაუწყებლის ძირითადი საოქჯედო პრიორიტეტები

მომდევნო 3 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ბიუჯეტის დამტკიცებისას და სხვა გადაწყვეტილებების მიღებისას, პირველ რიგში, იხელმძღვანელებს შემდეგი სტრატეგიული მიზნებით:

1. საყოველთაო წვდომა: მაუწყებლის ყველა პლატფორმისა და პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობრივი ზრდის უზრუნველყოფა როგორც კომბინირებულ მაჩვენებლებში (სატელევიზიო, რადიო და მულტიმედია არხები), ასევე ცალკე, პირველი არხის მაყურებლების მაჩვენებლებში.

2. საყოველთაო მომსახურება: მრავალფეროვანი აუდიტორიის, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე აუდიტორიის მომსახურება. ამ მიზნით პროდუქცია და ხარჯები უნდა განაწილდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მომსახურებისთვის, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, შშმ პირების, რეგიონის მოსახლეობის მომსახურებისთვის.

2.1 თანაბრად ემსახურება სხვადასხვა სამომხმარებლო ქცევის მსხვილ სოციალურ ჯგუფებს (სოციოლოგიური კვლევებით დადგენილი მსხვილი ჯგუფები).

2.2 მზარდად უზრუნველყოფს საზოგადოების სხვადასხვა მცირე ჯგუფის რეპრეზენტაციას საკუთარ პროდუქციაში.

3. თვალთახედვების მრავალფეროვნება: საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მსოფლმხედველობის, მოსაზრების, ფასეულობის და საჭიროების ასახვა და წარმოჩენა.

4. საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, ანალიტიკური პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა.

5. ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის (საგანმანათლებლო, გასართობი, სხვა) პროდუქციის წარმოების და ხარისხის ზრდა. ამ პროდუქციის ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებლებისგან შესყიდვა. ამავე დროს, 2018 წლის განმავლობაში მაუწყებელმა სპეციალისტების თანამონაწილეობით უნდა შეიმუშაოს ამგვარი პროდუქციის წარმოების და შესაბამის პლატფორმებზე განთავსების სტრატეგიული გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის განხორციელება.

6. მულტიმედიაური მეთოდების ეფექტიანად გამოყენება პროდუქციის წარმოებისა და გავრცელებისთვის; ალტერნატიული პლატფორმების აუდიტორიის და მათ მიერ გავრცელებული პროდუქციის ოდენობის და მრავალფეროვნების ზრდა.

7. პროდუქციის ხარისხის, მრავალფეროვნების და ზეგავლენის წლიდან წლამდე ზრდა, მათ შორის, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის პროდუქციის სანდოობის ზრდის უზრუნველყოფა.

8. არქივი - სასწრაფოდ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები უნიკალური საარქივო მასალების (დაცვა, გაციფრულება) შენარჩუნების მიზნით.

გაუნყაბლის შინაარსობრივი პრიორიტეტები

1 საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის და სხვა შესაბამისი თემატიკის პროდუქციამ მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცეს, გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებზე და გამოწვევებზე, იმ საერთაშორისო მოვლენებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან კავშირშია ან გავლენას ახდენს მასზე.

პროდუქციაში აისახოს:

- სოციალური პრობლემები, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებსა და საჭიროებებზე;
- რიგითი მოქალაქის პრობლემები;
- საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები/პროცესები: ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობები, ქვეყნის განვითარებაზე დასავლეთთან ინტეგრაციის დადებითი გავლენა, ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული შესაძლებლობები და სხვა;
- საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები;
- ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები, ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა, მათ შორის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარება;
- საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები და პროცესები;
- უცხოეთში მიმდინარე მოვლენები;
- საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობაზე და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე;
- საქართველოს რეგიონებში მიმდინარე სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ამსახველი პროცესები;

- > ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის აქტუალური საკითხები;
- > სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები

2 საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი ვალდებულებაა ჟურნალისტური გამოძიება. ამ ჟანრის შემდგომი განვითარებისა და პროდუქციის გაუმჯობესებისთვის, ჟურნალისტური გამოძიების შიდა წარმოების გარდა, შეიქმნას პლატფორმა გარე წარმოებისთვის. 2018 წლის ბოლომდე მენეჯმენტმა შეიმუშაოს ამ პლატფორმის კონცეფცია, საგამოძიებო პროდუქციის გარე წარმოების და შესაბამის პლატფორმებზე განთავსების გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის განხორციელება. ჟურნალისტური გამოძიება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გახმაურებული ამბებით/შემთხვევებით, არამედ უნდა იკვლევდეს ისეთ თემებს, რომლებიც კანონის უზენაესობას, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას, ადამიანის უფლებების დარღვევებს და სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად აქტუალურ სხვა საკითხებს ეხება. ჟურნალისტური გამოძიება უნდა გახდეს საჯარო სექტორზე საზოგადოებრივი/სამოქალაქო მეთვალყურეობისა და მონიტორინგის ერთ-ერთი ძლიერი მექანიზმი.

3 ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტების წარმოება და შექმნა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებათა სწავლებაზე, პოპულარიზებაზე, საზოგადოების ინფორმირებაზე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების და მდგომარეობის შესახებ; მედიაპროდუქტის მომზადება კონკრეტული უფლებადარღვევების შესახებ, რომლის მიზანიც იქნება საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის გაუმჯობესება და მსოფლიოს საუკეთესო ანალოგებთან შესაბამისობაში მოყვანა. მედიაპროდუქტის შექმნისას ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა შრომითი უფლებები, უსაფრთხოების ნორმები და მომხმარებელთა უფლებები. ადამიანის უფლებების შესახებ მედიაპროდუქტის წარმოების და შექმნის დროს უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების დაუცველი ჯგუფების მომსახურება. საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ვალდებულებაა, აღმოაჩინოს, დაინახოს და დაგვანახოს

დღეს არსებული ყველაზე მტკივნეული პრობლემები, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და მუდმივად ეძებდეს ამ პრობლემების მოგვარების გზებს, ასახავდეს მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფდეს მოსახლეობის ინფორმირებას და განათლებას ამ მიმართულებით. მიზანშეწონილია, ზემოხსენებული თემები გაშუქდეს სხვადასხვა გადაცემებში და ამ გადაცემების მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ როგორც ადამიანის უფლებადამცველები, ასევე სხვადასხვა თემის და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები.

4 საქართველოში არსებული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურის, ტრადიციების, ფასეულობების, ყოფის, საჭიროებების, პრობლემების, წარმატებების, მნიშვნელოვანი თარიღებისა და სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების ამსახველი მედიაპროდუქტის მომზადება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2017 წელს მიღებული საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის მედია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად. უზრუნველყოფილი იყოს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობა პროდუქციის მომზადების პროცესში და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ გადაცემებში მათი სტუმრის რანგში მოწვევა.


5 ქართული დოკუმენტური ფილმების შიდა და გარე წარმოების ზრდა 2019 წლიდან. ამ მიმართულების განვითარების მიზნით, მენეჯმენტმა, დარგის სპეციალისტების თანამონაწილეობით, შეიმუშაოს ქართული დოკუმენტალისტიკის განვითარების კონცეფცია (შიდა და გარე წარმოების მიმართულებით). საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სეზონის განმავლობაში მაყურებელს გარკვეული პერიოდულობით შესთავაზოს ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი.

6 მოზარდების მონაწილეობით მედიაპროდუქტის მომზადება მათთვის აქტუალურ და საინტერესო თემებზე.

- 7 მედიაპროდუქტის მომზადება ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების და გარემოსდაცვით საკითხებზე.
- 8 სპორტული გადაცემების მომზადება, შესყიდვა და ტრანსლირება.
- 9 ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება.

პროდუქციის მიწოდების გზები, პლატფორმები

წინამდებარე საპროგრამო პრიორიტეტების შესასრულებლად მენეჯმენტმა ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოს და წარმოადგინოს პროდუქციის სამაუწყებლო/საკომუნიკაციო პლატფორმებზე განთავსების გეგმა. 2019 წელს მენეჯმენტმა უნდა შეიმუშაოს და საბჭოს წარუდგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პლატფორმების, მათ შორის მეორე არხის გრძელვადიანი განვითარების კონცეფცია.



**მიმდინარე და სამომავლო
პროგრამათა განრიგის
შესახებ**

3



▶ **საქართველოს პირველი არხი**

შემეცნება • განათლება

საზოგადოებრივი მაუწყებელი მხარს უჭერს კომერციული მედიაბაზრისთვის „არააქტუალური“ მიმართულებების განვითარებას.

ამზადებს პროდუქციას ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის, ზრდის მათ ინტერესს განათლების, შემეცნების, კულტურული ფასეულობების მიმართ. ეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, უზრუნველყოფს მაყურებლის ინფორმირებას ჯანდაცვის საკითხებზე, სხვადასხვა დაავადებების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებებზე. მხარს უჭერს სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდას საზოგადოებაში.

აღნიშნულ მიმართულებაში მომზადებულ გადაცემებში პრიორიტეტი ენიჭება თანამედროვე ცოდნას, ინტელექტუალურ და შემეცნებით ცხოვრებას, გლობალური განვითარებისა და მრავალფეროვნების ასახვას. გადაცემები ემსახურება ადამიანების შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილებას, მათი თვალსაწიერის გაფართოებას, განათლებისა და ცოდნის პოპულარიზებას.

პირველის არხის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი საგანმანათლებლო გადაცემა, შოუ და სხვა ტიპის პროდუქტი შესთავაზოს აუდიტორიას, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე იქნება გათვლილი.

პირველი არხის დილისა და დღის ზოლი მთლიანად მიმართულია შემეცნებითი პროდუქტის პოპულარიზაციისკენ. გადაცემა „**ახალი დღე**“ ყველა აქტუალურ და მიმდინარე საკითხის გაშუქებას მოიცავს, თემატური რუბრიკების და ბლოკების საშუალებით მაყურებელს წარმოდგენას უქმნის ქვეყნის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. დილის ეთერშივე გადაცემა „**პირადი ექიმი-მარი მალაზონია**“ პროფესიონალური რჩევებით ანებივრებს მაყურებელს, პოპულარიზაციას უწევს ჯანსაღი ცხოვრების წესს და სწორ კვებას, ჩართულია ყველა მიმდინარე და აქტუალურ სოციალურ კამპანიაში, რომელიც ჯანსაღ ცხოვრებას ეხება.

ახალგაზრდა მაყურებლისთვის და არა მხოლოდ, უკვე მეოთხე წელია, მიმდინარეობს საქართველოს პირველი არხის პროექტი „**ნიგნების თარო**“. 2018 წელს პროექტს სტუდენტური სეგმენტი დაემატა და კვირაში სამჯერ განთავსდა ეთერში, ორი გადაცემა სასკოლო სეგმენტით, ერთი - სტუდენტურით.

ამ 4 წლის განმავლობაში:

- შედგა შვიდი სასკოლო და სამი სტუდენტური სეზონი;
- პროექტში მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა მოსწავლემ და სტუდენტმა;
- კამბრიჯში გაემგზავრა 23 გამარჯვებული ახალგაზრდა;
- „ნიგნების თაროს“ ეგიდით გაიმართა არაერთი ღონისძიება, ლექცია, საჯარო თამაში და ფასტივალი.

გადაცემა „**დოსიე**“ არის დოკუმენტურ ჟანრში გაცოცხლებული სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების ერთგვარი ტელე-ვიდეოთეკა.

2019 წლის პირველ ნახევარში ეთერში გადიოდა განახლებული „**ილუზიონი**“, არხის ძველი საკულტო გადაცემის რეპლიკა.

ახალი ფორმატი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ძველისგან.

განახლებული „ილუზიონის“ პრიორიტეტი იმ ძველი კინოფირების ჩვენება იყო, რომლებსაც ეპოქალურ შედევრებთან ერთად დიდი როლი აქვს შესრულებული კინემატოგრაფიის განვითარებაში.

გადაცემა „**ფერმა**“ მაყურებელს აწვდის ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე სიახლეების, ახალი ტექნოლოგიების შესახებ, უყვება წარმატებული მეურნეობების შესახებ და პოპულარიზაციას უწევს საქართველოს ფარგლებში წარმოების შექმნას. გადაცემა ავრცელებს პრაქტიკულ რჩევებს ფერმერების და მომხმარებლებისთვის, ინფორმაციას აგროტექნოლოგიურ სიახლეებზე, საკანონმდებლო ცვლილებებზე, ევროპულ გამოცდილებებზე.

„ფერმამ“ მაყურებელს ახალი რუბრიკა შესთავაზა, რომელიც მოიცავს სოფლის განვითარების საკითხებს, სათემო ლიდერების აქტივობების, მათი ინიციატივების და იდეების განხორციელების ხელშეწყობას, ასევე, სოფლებში გამორჩეული ხელობის მქონე ადამიანების წარმოჩენას.

საქართველოს პირველი არხი აშშ-ის საელჩოსთან ერთად, პროექტის **„მრავალფეროვანი საქართველო“** ფარგლებში ახორციელებს პროექტს **„ჩვენი ქართული ენა“**, რომელიც ითვალისწინებს არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული ენის ტელეოლიმპიადის ჩატარებას და ქართული ენის ვიდეოგაკვეთილების კურსს. პროექტის „ჩვენი ქართული ენა“ მთავარი მიზანი არის ქართული ენის პოპულარიზაცია არაქართულენოვან სკოლებში და იმ რეგიონებში, სადაც ჩვენი თანამოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ. აღნიშნული პროექტი, თავის მხრივ, არაქართულენოვანი სკოლებისთვის იქნება ერთგვარი მოტივაცია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა უკეთ ისწავლონ სახელმწიფო ენა.

ერთი წლის განმავლობაში, ყველა არაქართულენოვან სკოლას ექნება პროექტში მონაწილეობის საშუალება. ეს დაახლოებით 220 სკოლაა. საანგარიშო პერიოდში, პრაქტიკულად დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის **„ოქროს ფონდი“** - პროექტი **„ტელემუზეუმი“** მიზნად ისახავს ოქროს ფონდის გაცოცხლებას. საეტაპო და მნიშვნელოვანი მოვლენების გახსენებას - მეცნიერებაში, მედიცინაში, ხელოვნებაში, სპორტში; შეხვედრა წარმატებულ და საყვარელ ადამიანებთან.

ონლაინ პლატფორმის ახალი პროექტია **აშშAVI**, რომელიც იტვირთება პირველი არხის ფეისბუქის გვერდზე. ეს არის გადაცემა, სადაც წარმატებული ადამიანები ყვებიან ისტორიებს, რომლებმაც მათ კარიერაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ქართული ორიგინალური დოკუმენტური პროდუქტის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია ქვეყანაში, გარდა ამისა, მიზნად ისახავს ამ მიმართულებით ინდუსტრიის მხარდაჭერას და ინვესტიციის ჩადებას, რისთვისაც პერმანენტულად აწესებს ჭილდოს სხვადასხვა ფესტივალების ფარგლებში.

2019 წელს ტელეფილმების მიერ მომზადდა 12 დოკუმენტური ფილმი და 5 დოკუმენტური სერიალი, რომლებიც თავისი შინაარსით მთლიანად საგანმანათლებლო შემეცნებითი მიმართულებისაა.

პირველი არხის ეთერში მაყურებელს საშუალება ჰქონდა ენახა პრემიუმ კლასის დოკუმენტური სერიალები, რომლებსაც აწარმოებს:

BBC WORLDWIDE LIMITED

NATIONAL GEOGRAPHIC

DISCOVERY

ARTE

▶ საქართველოს პირველი არხი სოციალური და პოლიტიკური მიმართულება

სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემების რეიტინგის ზრდის ტენდენციამ, სეზონის დასაწყისსა და ბოლო კვარტალს შორის - 40.5% შეადგინა. გადაცემების რეიტინგის ზრდა განაპირობა ახალი ამბებისა და ანალიტიკური გადაცემების ობიექტურობის, სანდოობის, თემების სიღრმისეული გაშუქების ხარისხმა (მაჩვენებელი ეფუძნება ფიფქმეტრული მეთოდით სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მონაცემებს). რეიტინგის მატებას იწვევს საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების საერთო კონტექსტში განხილვის პრაქტიკაც. პოპულარობით სარგებლობს: „ახალი კვირა“, „42 პარალელი“, „თავისუფალი ხედვა“, „აქტუალური თემა“, „კვირის ინტერვიუ“.

მიმდინარე ამბების შესახებ მაყურებელს აქტუალურ, გადამოწმებულ ინფორმაციას აწვდის ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“. მონაცემები აჩვენებს, რომ ახალი ამბების სხვადასხვა პლატფორმებზე მაუწყებლობის კუთხით, საქართველოს პირველი არხი უდავო ლიდერია. ეს მიმართულება კიდევ უფრო ზრდის და ამყარებს არხის მიმართ ლოიალობას.

სოციალური და პოლიტიკური პროგრამების წილი სრული საეთერო დროის მაჩვენებელთან მიმართებაში 32.18%-ია.

2019 წელს სატელევიზიო ეთერში, ახალი ამბების მიმართულებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი დაიწყო.

„ბიზნესპარტნიორი“ - 2019 წელს საქართველოს პირველმა არხმა მაყურებელს შესთავაზა ახალი პროექტი „ბიზნესპარტნიორი“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს ტელეეთერში ორი განსხვავებული ფორმატით იყო განთავსებული. 30-წუთიანი ქრონომეტრაჟით, ყოველ სამუშაო დღეს. „ბიზნესპარტნიორი“ რუბრიკის სახით წარმოდგენილი იყო საქართველოს პირველი არხის დილის პროგრამაში „ახალი დღე“. ის მოიცავდა საინფორმაციო ბლოკს და ინტერვიუს.

პროექტმა „ბიზნესპარტნიორი“ რადიო მსმენელებს შესთავაზა სამი ფორმატი: გადაცემაში „პიკის საათი“, „სახლისკენ“ და „ახალი დღის“ 10-წუთიანი რუბრიკა რადიოეთერში.

„ტრიბუნა“ - საქართველოს პირველმა არხმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ზოლში, ახალი ფორმატის ტოქშოუ 18 სექტემბრიდან დაიწყო. ყოველ ოთხშაბათს, 22:30 საათზე, ეთერში განთავსდა გადაცემა „ტრიბუნა“, რომელსაც გიორგი გვიმრაძე უძღვება.

გადაცემა მაყურებელს საშუალებას აძლევს, გაიგოს პოლიტიკოსების ხედვა, როგორც მიმდინარე პროცესებზე, ასევე, საკანონმდებლო ინიციატივებსა და გადანყვეტილებებზე. „ტრიბუნა“ მაყურებელს სთავაზობს საინტერესო დისკუსიებს და დებატებს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მონაწილეობით.

გადაცემის მიზანია, მაყურებელს გააცნოს პოლიტიკური პარტიების ხედვები და ხელი შეუწყოს ამომრჩევლის ინფორმირებას საპარლამენტო არჩევნების წინ.

„პირველი აუდიტორია“ - საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პირველმა არხმა მაყურებელს შესთავაზა ახალი პროგრამა „პირველი აუდიტორია“. პროგრამა ეთერშია ყოველ ხუთშაბათს, 22:00 საათზე. გადაცემის წამყვანია გიორგი გვიმრაძე.

პროგრამა ორიენტირებულია ახალგაზრდა აუდიტორიაზე. „პირველი აუდიტორია“ ახალგაზრდებთან ერთად განიხილავს აქტუალურ საკითხებსა და პრობლემებს. გადაცემის მონაწილეები ცდილობენ მოძებნონ პრობლემების გადაჭრის გზები.

შუალედური და ვადამდელი არჩევნები 2019

საანგარიშო პერიოდში, 19 მაისს, გაიმართა რვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური და ხუთი მუნიციპალიტეტის მერების რიგგარეშე არჩევნები. ამავე დღეს გაიმართა პარლამენტის შუალედური არჩევნები მთაწმინდის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. 9 ივნისს, ამავე საარჩევნო ოლქში, გაიმართა განმეორებითი არჩევნები.

საარჩევნო პერიოდში საქართველოს პირველი არხი მუდმივად უთმობდა დროს არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს. დებატები დეპუტატობის კანდიდატებს შორის სამჯერ გაიმართა და საერთაშორისო მედიაში აპრობირებული ფორმატით წარიმართა.

კიდევ ერთი დებატი გაიმართა უკვე არჩევნების მეორე ტურის წინ. პარლამენტის ვადამდელი არჩევნების მეორე ტურში გადასულმა კანდიდატებმა, არჩევნებამდე ორი დღით ადრე, მაყურებელს საკუთარი პროგრამა გააცნეს და წამყვანის შეკითხვებს უპასუხეს. კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ, ერთმანეთისთვის კითხვები დაესვათ.

საქართველოს პირველმა არხმა საარჩევნო სუბიექტებს კიდევ ერთი ფორმატი შესთავაზა. „მოამბის“ მთავარ, 21:00-საათიან გამოშვებაში, ათათი წუთი დაეთმო კანდიდატებს თავიანთი პროგრამების წარსადგენად.

ასევე, გაიმართა დებატები მუნიციპალიტეტების მერობის კანდიდატებისთვის. საქართველოს პირველმა არხმა ხუთივე მუნიციპალიტეტში მერის რიგგარეშე არჩევნებში მონაწილე კვალიფიციური სუბიექტების კანდიდატებს სპეციალურ საარჩევნო გადაცემაში მონაწილეობა შესთავაზა. ზუგდიდის, ხულოსა და ჭიათურის შემთხვევაში, ვინაიდან მხოლოდ თითო კვალიფიციურმა კანდიდატმა გამოთქვა გადაცემაში მონაწილეობაზე თანხმობა, დებატები ვერ შედგა.

დებატები ჩატარდა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებელ გარემოში, სადაც კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ, საკუთარი პოზიცია ამომრჩევლისთვის თანაბარ პირობებში გაეცნოთ.

მთლიანობაში, საინფორმაციო სამსახური, საარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა, რათა მიმდინარე მოვლენები სრულად და ყოვლისმომცველად გაეშუქებინა. უშუალოდ არჩევნების დღეებში კი „მოამბე“ უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა.

„მოამბის“ სინქრონული თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

საქართველოს პირველი არხი, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს ეთნიკური უმცირესობებისთვის - „მოამბის სინქრონული თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე“.

„მრავალფეროვანი საქართველო“

საანგარიშო პერიოდში პროექტმა „მრავალფეროვანი საქართველო“ აზერბაიჯანულ და სომხურენოვან აუდიტორიას მნიშვნელოვანი სიახლეები შესთავაზა. საუბარია აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიების Birinci Kanal (პირველი არხი) და Azərbaycan Sıhpi (პირველი არხი) პროგრამებზე.

2019 წლიდან ორივე ინტერნეტ-არხზე საინფორმაციო გამოშვება გადის ყოველ საათში. დღის შემატამბელი გამოშვება „მოამბე“ აზერბაიჯანულ ენაზე 19:00 საათზე და „მოამბე“ სომხურ ენაზე 19:00 საათზე ეთერში გადის ყოველდღე, გარდა კვირისა. გამოშვებები პირდაპირ ეთერში გადის **ITV.GE**-სა და ფეისბუქგვერდზე. ყველა გამოშვების ჩანაწერი შეგიძლიათ იხილოთ **ITV.GE**-ზე.

აზერბაიჯანულ და სომხურენოვანმა ინტერნეტ-ტელევიზიებმა დაიწყეს პროექტი „კვირის რეპორტაჟი“. პროგრამის ფარგლებში საინტერესო ადამიანებსა და მოვლენებზე სიუჟეტებს ამზადებენ „მრავალფეროვანი საქართველოს“ ჟურნალისტები. კვირის რეპორტაჟი ინტერნეტ-არხებზე გადის ყოველ კვირას 20:00 საათზე. პროგრამის ქრონომეტრაჟია 10

წუთი. კვირის რეპორტაჟი პირდაპირ ეთერში გადის ვებგვერდზე **ITV.GE** და ფეისბუქგვერდზე.

სომხურენოვანმა ინტერნეტ-ტელევიზიამ **Առաջին Ալիք** (პირველი არხი) დაიწყო ყოველკვირეული პროგრამა „შაბათ ერეკო“ (შაბათის საღამო). კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამის ქრონომეტრაჟია 15 წუთი. პროგრამა ყოველ შაბათს 20:00 საათზე გადის ვებგვერდზე **ITV.GE** და ფეისბუქის მეშვეობით.

Birinci Kanal - მა დაიწყო პროექტი **ƏNƏNƏ ÇƏLƏNG** („ტრადიციის ბუკეტი“), რომელიც ეთერში გადის ყოველ სამშაბათს 20:00 საათზე. პროგრამა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების ტრადიციებსა და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

აზერბაიჯანულენოვანმა რედაქციამ დაიწყო საბავშვო პროგრამა „ფერადი სამყარო“ (**Rəngli Dünya**). გადაცემა გადის ყოველ ხუთშაბათს 20:00 საათზე. პროგრამის ქრონომეტრაჟია 20 წუთი. გადაცემაში მონაწილეობენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები, ბავშვები პასუხობენ საინტერესო ლოგიკურ კითხვებს, გამოხატავენ საკუთარ აზრს სხვადასხვა თემებზე.

ორივე არხმა დაიწყო პროექტი „პოზიცია“ (**MÖVQE** და **Գիքքոլուս**). ორივე პროგრამა გადის ყოველ პარასკევს 20:00 საათზე. პროგრამის ფარგლებში ხდება კვირის განმავლობაში საქართველოში მომხდარი რომელიმე მნიშვნელოვანი ამბის შესახებ აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი მოსახლეობის გამოკითხვა.

კიდევ ერთი სიახლე - აპრილიდან პროგრამის „ახალი კვირა“ სიუჟეტების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმანი თავსდება ვებგვერდზე. საქართველოს პირველი არხის ჯგუფმა „მრავალფეროვანი საქართველო“ „ვოთსაფის“ საშუალებით ახალი ამბების გავრცელება დაიწყო აზერბაიჯანულ ენაზე, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ უმცირესობებს ყოველდღიურად და ოპერატიულად მიიღონ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამონმებელი ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენებზე.

ტოქშოუ „**რეალური სივრცე**“ - აქ ყოველთვის ისმის რიგითი მოქალაქის ხმა. მაყურებელს აქვს შესაძლებლობა, მისთვის საინტერესო სოციალურ და საზოგადოებრივ თემებზე მიიღოს ამომწურავი და სანდო ინფორმაცია.

„ეს ქვეყანა შენია“ - გაიზიარე პასუხისმგებლობა - ვიდეო ამბები რეალურ სივრცეში. რეალური სივრცე 2019 წლის დეკემბრიდან შეუერთდა სამოქალაქო კამპანიას „ეს ქვეყანა შენია“ - გაიზიარე პასუხისმგებლობა. კამპანიის მიზანია, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის წარმოჩენა და სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა. ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აღნიშნულ პროცესში თითოეული მოქალაქის მიერ მისი როლისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე.

„**გამომძიებელი რეპორტიორი**“ - პროექტის მიზანია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების დაფარული ფაქტებისა და მხარეების ძიება და გამოვლენა.

ჟურნალისტური ძიებისას დაცულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნორმები, ასევე ჟურნალისტური ეთიკა.

▶ საქართველოს პირველი არხი კულტურა

საქართველოს პირველი არხი წლებია, ქართული კულტურის აქტიური მხარდამჭერია და ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას.

სწორედ საქართველოს პირველი არხი უთმობს ყველაზე მეტ დროს კულტურის სფეროს გაშუქებას, მის გააქტიურებას და წახალისებას, რითაც, ერთი მხრივ, ასპარეზს ხსნის ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებისთვის, ხოლო მაყურებელს აწვდის უსაფრთხო, სიღრმისეულ და ანალიზის შემცველ პროდუქტს კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ. ამასთან, ზრუნავს ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და წარმოჩენაზე.

მინისტრიალი **„ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია“** 2019 წლის ნოემბერში გავიდა ეთერში და მაყურებელს საქართველოს ისტორია 29 უნიკალური ნივთით მოუყვა. საქართველოს კულტურის მინისტრმა პროექტი დაასახელა უნიკალურ საგანმანათლებლო პროექტად და დაისახა გეგმა, მომავალში შეიქმნას მედია სახელმძღვანელო.

გადაცემის წამყვანი, პროფესორი დავით ლორთქიფანიძე აგრძელებს პროექტზე მუშაობას. სულ, პროექტის ფარგლებში, 100 ექსპონატი იქნება განხილული.

მუზეუმის **„ოქროს ფონდის“** საცავებში არსებული უნიკალური ექსპონატების გადაღების ექსკლუზიური უფლება საქართველოს პირველმა არხმა მოიპოვა.

„ოქროს საგანძური“ საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ეროვნული მუზეუმის ერთობლივი პროექტია. ეროვნულმა მუზეუმმა დაიწყო შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდის გახსნა და საცავებში არსებული უნიკალური ექსპონატების აღწერა. ამ პროცესში ჩართულია საზოგადოებრივი მაუწყებელი. ჩვენს გადამღებ ჯგუფს აქვს ექსკლუზიური უფლება, მოახდინოს აღნიშნული სამუშაოების ვიდეოფიქსაცია და ფირზე აღბეჭდოს უნიკალური ექსპონატები.

გადაღებული მასალა სრულად დაარქივდება და მის საფუძველზე სამომავლოდ მომზადდება დოკუმენტური ფილმი (ან ფილმების ციკლი).

ექსპონატების აღწერილობის ვიდეოფიქსაციის პარალელურად მომზადდება 3-5 წუთიანი ჩანახატები თითოეული ექსპონატის ისტორიის შესახებ.

პროექტი „**პოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ**“ არის დოკუმენტური გადაცემა, რომელიც ასახავს ქართველ მსახიობთა, რეჟისორთა, მწერალთა, სკულპტორთა, მუსიკოსთა და მხატვართა პორტრეტებს, მათი ცხოვრების თუ პროფესიული საქმიანობის საინტერესო და უცნობი ეპიზოდებით. მასში გამოყენებულია საქართველოს პირველი არხის არქივში დაცული საარქივო მასალა.

გადაცემა ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლებას და ქმნის წარმატებულ, გამორჩენილ, ხელოვან ადამიანებზე ბიოგრაფიულ გადაცემათა ციკლს.

ელექტრონული ჟურნალები

„ელექტროლიტი“ არის ყოველთვიური ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ქართველი ავტორების ყველა ჟანრის ლიტერატურულ ნაშრომებს (შერჩევით) აქვეყნებს ვებპორტალზე **ITV.GE**, რითაც ალტერნატიულ სივრცეს ქმნის თანამედროვე ქართველი ავტორების დაინტერესებისთვის, წახალისებისთვის, მკითხველს კი აძლევს შესაძლებლობას, ხელი მიუწვდებოდეს საინტერესო ავტორების უახლეს ნამუშევრებზე.

„საინტერესო ადამიანები“ - ეს არის ინტერვიუების სერია საინტერესო, წარმატებულ ადამიანებთან, რომელსაც ჟურნალისტი ია ანთაძე უძღვება.

რადიოთაძრი

საქართველოს რადიოს რადიოსპექტაკლებმა მონაწილეობა მიიღო სამ საერთაშორისო ფესტივალზე.

- ბრიტანეთის რადიოდადგმების საერთაშორისო ფესტივალი - ნუგზარ შათაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“. რეჟისორი ზურაბ კანდელაკი და ხმის რეჟისორი ბაკო ხვიჩია. ამავე ფესტივალზე ამ რადიოდადგმამ მოიპოვა მსმენელთა სიმპატიის პრიზი <https://radiodramafestival.org.uk/uncategorized/%ef%bb%bf2019-audience-awards/>
- რადიოდადგმების საერთაშორისო ფესტივალი PRIX NOVA: ნუგზარ შათაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ - რეჟისორი ზურაბ კანდელაკი და ხმის რეჟისორი ბაკო ხვიჩია. <http://www.grandprixnova.ro/>
- ტელერადიო საერთაშორისო ფესტივალი PRIX EUROPA გერამ ოდიშარიას „პრეზიდენტის კატა“ - რეჟისორი ზურაბ კანდელაკი და ხმის რეჟისორი ბაკო ხვიჩია. <https://www.prixeuropa.eu/>

▶ საქართველოს პირველი არხი მუსიკა

საქართველოს პირველი არხის მუსიკალური გადაცემები ქართულ ტელევიზორებში გამოირჩევა უნიკალურობით, მრავალფეროვანი თემებით და პროფესიონალი წამყვანებით. გადაცემები აკმაყოფილებს სხვადასხვა გემოვნების მაყურებლისა და მსმენელის მოთხოვნებს და განკუთვნილია მუსიკის მოყვარული და მუსიკალური განათლების მქონე პირებისთვის.

გადაცემა „აკუსტიკა“ არის პროექტი, რომელიც ალტერნატიულ სახელოვნებო მუსიკალურ სივრცეს ქმნის არა მხოლოდ ცნობილი ქართველი შემსრულებლებისთვის, არამედ უცნობი მუსიკოსებისთვის, დებიუტანტებისთვის, რომელთაც აქვთ პოტენციალი, შექმნან სხვადასხვა ჟანრის გემოვნებიანი მუსიკალური ნამუშევრები და მიიტანონ ის დიდ აუდიტორიამდე. პროექტის ფარგლებში, დიდი სიფრთხილით ხდება ძველი ფოლკლორული სიმღერების თანამედროვე ჟღერადობასთან შერწყმა, სიმღერის იდეის და სტილის შენარჩუნებით. „აკუსტიკამ“ მაყურებლის სიყვარული მალევე დაიმსახურა, რასაც მოწმობს მისი ვიდეოების უამრავი გაზიარება და დადებითი გამოხმაურება სოციალურ ქსელებში.

გადაცემა „აკუსტიკა“ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობის მუსიკას და მუსიკოსებს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის იგეგმება მუსიკალური ცოცხალი სესიები, რომლის ნაწილიც უკვე იხილა მაყურებელმა. ეს აქტივობა ხელს უწყობს ეთნიკური მუსიკის პოპულარიზაციას და უცნობი მუსიკოსების ქართულ საზოგადოებაში ფართო ინტეგრაციას.

2019 წლის სეზონზე, ემიგრაციაში მყოფი მუსიკოსების მოძიება და წარმოჩენა, გადაცემისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალმა „არტ-გენმა“ 2019 წლის თბილისის ფორუმი სწორედ „აკუსტიკის“ კონცერტით გახსნა.

„მუსიკის 12 მოციქული“ არის შემეცნებით-გასართობი უნიკალური ფორმატი. მისი წამყვანია ცნობილი მუსიკოსი, კომპოზიტორი და სიმღერების ავტორი დავით ევგენიძე. გადაცემამ უმასპინძლა 50 შესანიშნავ სტუმარს. 2019 წელს დავით ევგენიძემ, როგორც „მუსიკის 12 მოციქულის“ წამყვანმა, თბილისის მერისგან, კახა კალაძისგან მიიღო პრიზი კულტურის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისთვის. შემოქმედებითი ჯგუფი აგრძელებს მუშაობას ფორმატის განვითარებაზე და 2020 წელს ჩაწერებს გეგმავს ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტუდიაში, რომლის რეკონსტრუქცია და განახლება უკვე დაწყებულია. გადაცემა მზადდება როგორც სატელევიზიო, ასევე რადიოეთერისთვის.

2019 წლის გაზაფხულზე, უკვე მეორედ, ჩატარდა საბავშვო მუსიკალური კონკურსი **„რანინა“**. კონკურსის შესარჩევ ტურებში მონაწილეობა მიიღო 500-მდე მონაწილემ. სამეტაპიანი ტურის შედეგად აირჩა 10 მონაწილე. კონკურსის პირველივე ტურმა ტელემაყურებლის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა, რაც ნათლად აისახა, როგორც რეიტინგებში, ასევე სოციალურ ქსელში ნახვების მაჩვენებლით. 10 საეთერო ეპიზოდის შედეგად, გამოვლინდა „რანინას“ გამარჯვებული და 2019 წლის საბავშვო ევროვიზიის მონაწილე.

კონკურსის გამარჯვებული გიორგი როსტიაშვილისთვის დაინერა სიმღერა (კომპოზიტორი დავით ევგენიძე) და ამ სიმღერით ის წარდგა 2019 წლის საბავშვო ევროვიზიაზე.

კონკურს „რანინას“ ფინალი და გადაცემა **„აკუსტიკის“** კონცერტი 26 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების კულმინაცია იყო.

2019 წლის დეკემბერში გამოცხადდა „რანინას“ მესამე სეზონის შესარჩევ ტური, სადაც უამრავ ბავშვს შორის შეირჩა 10 საუკეთესო.

მუსიკალური მეგაპროექტი **„საქართველოს ვარსკვლავი“** ამერიკული American Idol-ის, ბრიტანული Pop Idol-ის ქართული ანალოგია, რომელიც საქართველოს პირველ არხზე უკვე მეორე სეზონია, აქტუალობას არ კარგავს. აღსანიშნავია, რომ გარდა ტელეეთერისა, მაყურებელს

შესაძლებლობა ჰქონდა თვალ-ყური მიედევნებინა შოუსთვის ლაივ რეჟიმში, პირველი არხის ფეისბუქ გვერდზე. კონკურსის გამარჯვებული 2020 წელს საქართველოს წარადგენს ევროვიზიის საერთაშორისო სიმღერის კონკურსზე.

გადაცემა „**ხალხური სიმღერის გაკვეთილების**“ საშუალებით, მსმენელი/ მაყურებელი სწავლობს ქართული სიმღერის გამორჩეულ ნიმუშებს, რადგან მასში მოწვეული სტუმრები ქართული ხალხური ტრადიციული მუსიკის შემსრულებლები არიან.

გადაცემა ეხმარება მუსიკალური მეხსიერების, სმენის, რიტმის, საშემსრულებლო ჩვევების, შემოქმედებითი უნარების გამომუშავებას. ქართული ხალხური მუსიკა არა მარტო ქართველი ერის, არამედ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მონაპოვარია.

საქართველოს რადიო მუსიკა

24 საათის განმავლობაში, უწყვეტი, მაღალი ხარისხის მუსიკა FM100.9-ზე.

ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლის კიდევ ერთი პლატფორმა, რომელიც მაღალი ხარისხის კონტენტით მაუწყებლობს. ვინაიდან რადიოს სმენის კულტურა ხშირად დაკავშირებულია მანქანით გადაადგილების პროცესთან და ამ დროს მუსიკის მოსმენის ჩვევასთან, FM100.9 ცდილობს მსმენელს შეუქმნას ყველა პირობა, რომ მოისმინოს და შეიყვაროს ნამდვილი, მაღალი ხარისხის მუსიკა.

პროფესიონალები ზრუნავენ, რომ FM100.9-ზე ჟღერდეს მხოლოდ საუკეთესო მუსიკა, რჩეული ჟანრების საუკეთესო შემსრულებლები. მუსიკა, რომელიც ძვირფასია ყველა მელომანისთვის და კარგი განწყობის რეცეპტი ყველა ასაკის გემოვნებიანი მსმენელისთვის.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი

უკვე მეორედ, ევროვიზიის სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე, ხალხის რჩეული, მეგაშოუ „საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებულნი გაემგზავრება. საქართველოს პირველმა არხმა ეს უკვე ტრადიციად დაამკვიდრა. 2020 წელს ნიდერლანდებში, ქალაქ როტერდამში „საქართველოს ვარსკვლავის“ გრანდიოზული ფინალის გამარჯვებულნი, თორნიკე ყიფიანი გაემგზავრება. „საქართველოს ვარსკვლავის“ მეორე სეზონს პირველ არხზე, მაყურებელთა მხრიდან უპრეცედენტო გამოხმაურება მოჰყვა. მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა თავისი რჩეულისთვის ხმა მიეცა ფეისბუქ მესენჯერის საშუალებითაც, სრულიად უსასყიდლოდ, რამაც განსაკუთრებით გაზარდა მაყურებელთა ჩართულობა.

საქართველოს პირველი არხი შეეცნება გართობის ელემენტებით

საქართველოს პირველ არხზე 2019 წელს საერთაშორისო მეგაპროექტ „მასტერშეფის“ ორი სეზონი შედგა, პირველ სეზონზე შოუმ იუთუბის არხზე 58 მილიონი ნახვა დააგროვა. მეგაშოუ „მასტერშეფის“ მეორე სეზონის პრემიერა ოქტომბერში, ონლაინ, იუთუბზე შედგა, რაც სიახლეა ქართული ტელევიზიისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ონლაინ პრემიერამ გაამართლა, რადგან გადაცემის პირველი ეპიზოდი 240 000-ზე მეტმა მომხმარებელმა ნახა. გარდა კულინარიული შეჯიბრისა, გადაცემამ მაყურებელს ახალი სახეები გააცნო, გადაცემაში აქცენტირებული იყო საზოგადოებაში არსებული აქტუალური საკითხები, გადაცემის პერსონაჟების საშუალებით.

დღის გადაცემა „ნაშუადღევს“ ახალგაზრდა აუდიტორიისთვის არის გათვლილი, შედგება ბევრი თემატური ბლოკისგან და ყოველდღიურად რამდენიმე სტუმარს მასპინძლობს ამა თუ იმ თემაზე სასაუბროდ.

ინტელექტ-კლუბი „**რა? სად? როდის?**“ ქართველი მაყურებლის ერთ-ერთი საყვარელი ინტელექტუალური პროდუქტია, რომელიც წლების შემდეგ კვლავ საქართველოს პირველი არხის ეთერის საშუალებით გადაიცემა და ცოდნის აზარტს აღვიძებს ყველა ადამიანში, ვინც კი ერთხელ მაინც უყურებს გადაცემას.

გასართობი შოუ „**მარტივი ლოგიკა**“, რომელშიც ყველას შეუძლია ჩაერთოს. გადაცემაში მონაწილეობენ წყვილები. წესები მარტივია. თამაშის მონაწილეებმა ორ ფოტოს შორის ლოგიკური კავშირი უნდა იპოვონ. თითოეული კითხვის გამოცნობისას მოთამაშე იგებს კონკრეტულ თანხას, რაც კიდევ უფრო აზარტულს ხდის თამაშს. გათამაშების მაქსიმალური თანხა - 5000 ლარი.

„მარტივი ლოგიკა“ პოპულარობის ზრდასთან ერთად მობილურ აპლიკაციად იქცა, რომელშიც ასე ათასობით მომხმარებელია ჩართული.

ბულინგი სკოლაში, მშობლების ურთიერთობა თინეიჯერ შვილებთან, ბავშვის მოწყვეტა ე.წ. გაჭეტს - სერიალი „**იდეალური დედა**“ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს ეხმიანება.

იუმორისტული ჟანრის სერიალი „**იდეალური დედა**“ ეხება და მოიცავს ისეთ თემებსაც, რომელიც საზოგადოების სატკივარს და საქართველოს პირველი არხის პროგრამულ პრიორიტეტებსაც წარმოადგენს. გმირების ისტორიების ფონზე გაშლილია თემები, რომელიც დღეს საზოგადოებას აწუხებს. მაგალითად, ბულინგი სკოლაში გაშლილია ორი მეგობრის ჩხუბის და შემდეგ (უფროსების სწორი მიდგომით) შერიგების ფონზე, ბავშვები აღიარებენ, რომ ერთმანეთის დამცირებას და შეურაცხყოფას პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება ჯობია.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში, სერიალში კვლავ წინა პლანზე წამოიწევა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემები, რაც თანხვედრაშია მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებთან.

„კვანსია მკვლელის თანამდებობაზე“ - 12 სერიაში მოქცეული დეტექტიური ისტორია. აგებულია „დომინოს პრინციპით“, მოვლენები ერთმანეთს ეწყობა და კვანძი მხოლოდ ბოლო სერიაში იხსნება.

მიუხედავად იმისა, რომ სერიალის სიუჟეტი საკმაოდ ჩახლართული და რთულად პროგნოზირებადია, ის გასაგები და ადვილად აღსაქმელია ნებისმიერი ასაკის მაყურებლისთვის.

„კაცები“ იუმორისტული ტოქშოუა, რომლის საშუალებითაც მაყურებელი ისმენს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბების იუმორისტულ მიმოხილვას. გადაცემა შედგება სხვადასხვა რუბრიკისგან. მათ შორის ცნობილ სახეებთან გასაუბრება, თამაშები და სხვ. რაც მთავარია, გადაცემის ჩაწერა ხდება აუდიტორიის თანდასწრებით, „ცოცხალი“, იმპროვიზებული იუმორით.

2019 წელს ეთერში განთავსებული იყო ყოველკვირეული იუმორისტული გადაცემა **„ლამის შოუ პირველზე“**.

გადაცემის საფუძველი ამერიკული, გვიანი სალამოს სატელევიზიო შოუს ფორმატია.

გადაცემის პირველი ნაწილი წარმოადგენს იუმორისტულ მონოლოგს, აქტუალური თემების შესახებ. მეორე ნაწილი ეთმობა მოწვეულ სტუმართან ინტერვიუს და მუსიკალურ ნომრებს ბენდთან ერთად.

საქართველოს პირველი არხი, როგორც უსაფრთხო მედია, მაყურებელს სთავაზობს მხოლოდ პრემიუმ კლასის მხატვრულ სერიალებს, რომლებსაც აწარმოებენ მსოფლიოში აღიარებული სტუდიები: Paramount Pictures International Limited, Boomerang TV, Mediaproduccion, S.L.U. Rai Com S.P.A. Globo Comunicacao E Participacoes S.A. Film Quest Entertainment/

როგორც დღის, ასევე სალამოს ეთერში მაყურებელს შეუძლია განიტვირთოს და თვალი ადევნოს პრემიუმ კლასის მხატვრულ ფილმებს, მაღალი ხარისხის ქართული გახმოვანებით.

2019 წელს ეთერში გასული ფილმები ეკუთვნის სტუდიებს: Sony, Paramount Pictures International Limited, Film Quest Entertainment, Central Partnership

▶ საქართველოს პირველი არხი სპორტი



ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზების ყველაზე მძლავრი საშუალება სპორტული მიმართულების მხარდაჭერაა. საქართველოს პირველი არხისთვის სპორტი კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად. საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებს რეპორტაჟებსა და გადაცემებს ქართულ და მსოფლიო სპორტულ მოვლენებსა და ღონისძიებებზე, აშუქებს თითქმის ყველა სპორტულ ასპარეზობას.

2019 წელი, სპორტული მიღწევების თვალსაზრისით, გამორჩეული იყო ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველოს სპორტსმენებმა 1500-მდე სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს. 2019 წლამდე ჩვენს ქვეყანას ერთდროულად ექვსი მსოფლიო ჩემპიონი არასდროს ჰყოლია. ქართული და მსოფლიო სპორტის ყველაზე მასშტაბურ ტურნირებს, მნიშვნელოვან მოვლენებს, ქართველი მაყურებელი, მთელი წლის განმავლობაში, პირველი არხის სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით ადევნებდა თვალს. სწორედ საქართველოს პირველი არხი უცხადებს მუდმივ მხარდაჭერას ქართველ სპორტსმენებს და მაყურებელთან ერთად პირველი იზიარებს მათი გამარჯვებით მოპოვებულ სიხარულს.

2019 წლის ორი ყველაზე მასშტაბური, მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული ასპარეზობა - მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (31 აგვისტო - 15 სექტემბერი - 38 რეპორტაჟი) და მსოფლიო ჩემპიონატი რაგბიში (20 სექტემბერი - 2 ნოემბერი - 48 რეპორტაჟი) საქართველოს პირველი არხის ეთერში იხილა მაყურებელმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რაგბის ნაკრების თამაშის წინ და დასრულების შემდეგ, მაყურებელს საშუალება ჰქონდა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად მოესმინა თამაშის საინტერესო მიმოხილვა.

უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოში, ქალაქ ბათუმში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში (6-13 აპრილი), რომელიც ქართველების ტრიუმფით დასრულდა. ამასთან დაკავშირებით, მომზადდა 11 რეპორტაჟი, ასევე, პირდაპირი ჩართვები და სიუჟეტები. სპეციალურად ამ ასპარეზობისთვის შეიქმნა ორი დოკუმენტური ფილმი: ერთი, რომელიც ასახავს ბათუმში გამართულ ევროპის ჩემპიონატს, მეორე ეხება ქართველი ძალოსნის, ლაშა ტალახაძის მიღწევებს. ფილმის სახელწოდებაა „500? რამდენიც გინდა“ (ავტ. მ. ნიკოლაიშვილი).

მინსკის ევროპული თამაშები, რომელიც ბელორუსიის დედაქალაქში 21-30 ივნისს მიმდინარეობდა. მაყურებელი დღეში 10-11 საათის განმავლობაში, ორი არხის საშუალებით, თითქმის უწყვეტ რეჟიმში ადევნებდა თვალს ქართველი სპორტსმენების ასპარეზობებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ევროპული თამაშების მიმდინარეობის პერიოდში, ეთერში განთავსდა გადაცემა „ოლიმპიადის დღიური“. აღნიშნული გადაცემის, ბელორუსიიდან პირდაპირი ჩართვებისა და „მოამბის“ სპორტული ნაწილის საშუალებით, მაყურებელს ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებოდა მინსკის ოლიმპიური თამაშების შესახებ.

ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში (17 ნოემბერთა ასაკობრივი კატეგორია) - ასპარეზობის მასპინძელი ქალაქი იყო თბილისი. ჩემპიონატის გადაღების ტექნიკური მომსახურება და მაყურებლისთვის სრული ჩემპიონატის შეთავაზება საქართველოს პირველმა არხმა უზრუნველყო. 2019 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სწორედ წყალბურთს. გარდა 17 ნოემბერთა ევროპის ჩემპიონატისა, ეთერში განთავსდა შიდა ჩემპიონატის მატჩებიც. საქართველოს წყალბურთელთა გუნდი „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობდა.

ევროპის ჩემპიონატი 3X3-ზე კალათბურთში (18 ნოემბერთა ასაკობრივი კატეგორია) - მასპინძელი კვლავ თბილისი იყო. სამი დღის განმავლობაში ჩემპიონატის სრული რეპორტაჟი მაყურებელს საქართველოს პირველმა არხმა შესთავაზა.

საქართველოს პირველი არხი არა მხოლოდ სანაკრებო დონეზე სთავაზობს მაყურებელს ქართველ სპორტსმენტთა ასპარეზობას, არამედ

შიდა ეროვნულ ჩემპიონატებსაც აქტიურად აშუქებს. გარდა წყალბურთში შიდა ჩემპიონატისა, საქართველოს პირველი არხი იყო მხარდამჭერი შიდა ასპარეზობებისა:

- კალათბურთში სუპერ ლიგის მატჩები (14 მატჩი);
- საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობაში (ორი დღის განმავლობაში პირდაპირი რეპორტაჟები);
- „ფალავნობა“;
- ფეხბურთის ეროვნული ლიგა, რომელსაც დაემატა ჩვენი კლუბების თამაშები ევროთასზე (32 თამაში);
- რაგბიში საქართველოს ნაკრების როგორც ტესტ-მატჩები, ასევე საქართველოს ჩემპიონატის თამაშები. (მომზადდა რამდენიმე წინასამატჩო გადაცემა ავჯალის სარაგბო სტადიონიდან).

ფეხბურთის გულშემატკივრებმა საქართველოს პირველი არხის ეთერში იხილეს „ზამთრის თასი“, ფუტსალში 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები და ფეხბურთში 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის წილისყრა, რომლის მიმართ ქართველ გულშემატკივართა ინტერესი განსაკუთრებით დიდია, რადგან საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის რეალური შანსი მიეცა.

2019 წელს მომზადდა და ეთერში ჩაეშვა ყოველდღიური სპორტული გადაცემა **„ტაიმაუტი“**, რომელსაც ოთხი წამყვანი უძღვება: გიორგი თვალაბეიშვილი, ხატია ალადაშვილი, ლუკა ჭოჭუა და ოთარ გიორგაძე. „ტაიმაუტი“ ეთერშია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 14:30-დან 15:00 საათამდე.

სპორტის პოპულარული სახეობების გარდა, გადაცემა დროს უთმობს საქართველოში ნაკლებად ცნობილ, თუმცა საინტერესო სახეობებს. აქტიურად შუქდება ბავშვების, ქალებისა და შშმ პირების ჩართულობა სპორტში, ელექტრონული სპორტი, სპორტის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

გადაცემის მიზანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლება და რეკომენდაციების გაცემა კომპეტენტური სტუმრების მიერ.

„ტაიმაუტი“ მაყურებელს სთავაზობს უნიკალურ საარქივო მასალას, ასევე დროს უთმობს სპორტის ისტორიაში გამორჩეულ თარიღებს.

„საქართველოს რადიოს“ საეთერო ბადეს, გარდა გადაცემისა „ესტაფეტა“ (ავტორი და წამყვანი ე. ბილიხოძე), დაემატა ახალი გადაცემა „ლეგიონი“ (ავტორი და წამყვანი რატი ხვისტანი), რომელიც კვირის ყველაზე საინტერესო სპორტული მოვლენების ერთგვარი შეჯამებაა.




2019 წელს მომზადდა და ეთერში ჩაეშვა ქართველი სპორტსმენების სატელევიზიო პორტრეტები და ვიდეორგოლები: „500? რამდენიც გინდა“ (ქართული ძალოსნობის ისტორია); გურამ თუშიშვილი (ძიუდო); რევაზ ჩომახიძე (წყალბურთი).

▶ საქართველოს პირველი არხი ტელეფილმები

საქართველოს პირველი არხი ხელს უწყობს დოკუმენტური ფილმების ინდუსტრიის განვითარებას და მუდმივად ახორციელებს ინვესტიციას ამ დარგში. 2019 წელს ეთერში გავიდა:

დოკუმენტური ფილმები

- > „ინტერაქტივი“
- > „ვერიკო“
- > „ბზვანსკი და მავობრაბი“
- > „კატრა მელიქიშვილი“
- > „საიდუმლო კართოთაკა“
- > „პრესა და არი“
- > „გავ-თათრი“
- > „უცხო“
- > „გურამ ბზვანელი“
- > „უგბული - ჩაგი სამოთხა“
- > „ივანე ბერიტაშვილი“
- > „ჭამბაზის კალენდარი (ჭამბაზები)“



დოკუმენტური სერიאלები

- > „იონას საქართველო“ - 20 სერია
- > „თბილისის კართან“ - 8 სერია
- > „სტოქსი...
პოლკოვნიკის დახული წერილები“ - 16 სერია
- > „საიდუმლო კარტოთაკა“
- > „დაკარგული წიგნები“



საქართველოს პირველი არხისგან, ქართული ორიგინალური მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ინდუსტრიის მხარდაჭერის ფარგლებში, ფულადი ჯილდოები გადაეცათ:

- > სპეციალური ჯილდო - 5000 ლარი გადაეცა თბილისის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის „სინედოკი“ გამარჯვებული ქართული ფილმის ავტორს.
- > სპეციალური ჯილდო - 20 000 ლარი გადაეცა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის „პრომეთა“ საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ავტორს.
- > სპეციალური ჯილდო - 20 000 ლარი გადაეცა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის „პრომეთა“ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის ავტორს.

საქართველოს პირველი არხი უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას ეროვნული კინოცენტრის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში გამარჯვებული პროექტებისთვის, მათ შორის ელდარ შეგნელიას ფილმისთვის „ჭა“.

საქართველოს პირველი არხის და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის „დებიუტი“ ფარგლებში, დაფინანსდა შვიდი ფილმის გადაღება:

- > „ფოტო გადაღება“ - ილია ასიძაშვილი
- > „მილა“ - სალომე ვეფხვაძე
- > „სასტუმრო მირაჟი“ - გურამ ბაქრაძე
- > „flyt“ - გრიგოლ ნოდია
- > „შავი ზღვა“ - თინათინ ემირიძე
- > „თანაგრძნობა“ - ზვიად ციკოლია
- > „ღამის სკოლა“ - გრიგოლ სამსიანი

გამოიყენა
განსი!



▶ საქართველოს პირველი არხი საბავშვო

საქართველოს პირველი არხი, როგორც უსაფრთხო მედია, საზოგადოებას სთავაზობს საბავშვო აუდიტორიისთვის განკუთვნილ გადაცემებს, რაც ქართულ ტელევიზორებში, არცთუ ისე ბევრია. საქართველოს პირველი არხი მუდმივად ცდილობს, აითვისოს ეს სეგმენტიც და ბავშვებს შესთავაზოს ისეთი პროდუქტი, რომელიც გააძლიერებს მათ შემოქმედებით თუ ინტელექტუალურ უნარებს და გააღვივებს მათში სწავლის, მეტი ცოდნის მიღების ინტერესს.

საზაფხულო „**მარტივი ლოგიკა**“ ბავშვებისთვის - მომზადდა საზაფხულო დამატება „მარტივი ლოგიკის“, რომელშიც მონაწილეობდნენ ბავშვები. აღნიშნულ სიახლეს, როგორც მოსალოდნელი იყო, 18 წლამდე ასაკის აუდიტორიისგან ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

„მარტივი ლოგიკის“ მობილური აპლიკაცია დღეს ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულია რეგიონში;

2019 წლის განმავლობაში, მობილურ აპლიკაციას ხუთი ახალი ტური დაემატა და ამ პერიოდში თამაშის გადმომწერების რიცხვმა 550 000-ს გადააჭარბა, რაც ამიერკავკასიაში, მსგავს თამაშებს შორის, უპრეცედენტო მაჩვენებელია.

„მარტივი ლოგიკა“ მულტიმედიურ პლატფორმაზე დაფუძნებული პროექტია. სატელევიზიო ფორმატისა და ინტერნეტში გავრცელებული წამყვანი სათამაშო ტრენდების შერწყმა მას დიდ უპირატესობას ანიჭებს კონკურენტებთან მიმართებაში. პროექტი ინოვაციურია ქართული ბაზრისთვის და აქედან გამომდინარე, შესაბამისობაში მოდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითად ორიენტირებთან. ალტერნატიული პლატფორმის გამოყენებამ გადაცემას ახალი სივრცხლე შესძინა. ეს სტატისტიკა კი, რეალურ საფუძველს ქმნის საზოგადოებრივ მაუწყებელზე წარმოებული პროდუქციის მულტიმედიური განვითარების საერთო მოდელის შესაქმნელად.

შესაბამისად, 2020 წელს იგეგმება „მარტივი ლოგიკა-2“ თამაშის შექმნა, რომელიც არა მხოლოდ Android და IOS პლატფორმაზე, არამედ ვებპლატფორმაზეც იქნება გათვლილი და ჩვენი ერთგული მომხმარებელი ფეისბუქითაც შეძლებს თამაშს.

გადაცემა „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“ აგრძელებს მოსწავლეების დახმარებას და მათ განათლებაზე ზრუნვას.

ორი სეზონის განმავლობაში მომზადდა 48 გადაცემა და მონაწილეობა მიიღო 55-მა სტუმარმა.

სულ ქასთინგის შედეგად შეირჩა 150 მეექვსე კლასელი, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან.

გადაცემაში მოგებული თანხით გამარჯვებულები სხვადასხვა რეგიონის 36 საჯარო სკოლას დაეხმარნენ, მათგან ხუთი მაღალმთიან რეგიონს განეკუთვნებოდა. სკოლებს გადაეცა სხვადასხვა ინვენტარი: ათასობით წიგნით შეივსო მათი ბიბლიოთეკები, კომპიუტერული და ციფრული ტექნიკით განაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო კაბინეტები. ასევე, სკოლებს გადაეცათ ფიზიკური აღზრდისთვის საჭირო ინვენტარი. ცხრა ნიჭიერ და გამორჩეულ მოსწავლეს გადაეცა სწავლისთვის საჭირო ინვენტარი, ლეპტოპები და წიგნები. ერთ სტუდენტს, 2018 წლის გამორჩეულ აბიტურიენტს, მოგებული თანხით დაუფინანსდა საზღვარგარეთ სწავლა.

გადაცემა სტუმრებთან ერთად ჩაერთო სამი პატარას სიცოცხლის გადარჩენის აქციაში და მოგებული თანხა სრულად გადაირიცხა მათ ანგარიშებზე.

„ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანის“ აქცია - ბავშვები ოთხფეხა მეგობრებისთვის.

2019 წელს, აქციის ფარგლებში - „ბავშვები ოთხფეხა მეგობრებისთვის“, თბილისისა და ბათუმის ქუჩებში 30 ძაღლის სახლი განთავსდა.

2020 წლის გაზაფხულზე იგეგმება თბილისის მასშტაბით სკოლებს შორის გადაცემის მოდელის მსგავსი ინტერაქტიული თამაშის ჩატარება. აღნიშნული კამპანია პროექტის გარშემო კიდევ უფრო მეტ მოსწავლეს გააერთიანებს. მომდევნო ეტაპზე, მთელი საქართველოს მასშტაბით, ჩატარდება გადაცემის მონაწილეების შესარჩევი კასტინგი, საიდანაც გამორჩეული ცოდნის და უნარების მქონე 30-მდე მეექვსე კლასელი შეირჩევა. ჩვენ მიერ დასახული კამპანიები და გეგმები ემსახურება მხოლოდ ერთ იდეას - მაყურებელმა უკეთ გაიცნოს ჩვენი სკოლის მოსწავლეები, შეიყვაროს ისინი და ამ პოპულარობის ფონზე, კიდევ უფრო მიმზიდველი და ტრენდული გახდეს სუპერ მეექვსე კლასელის ტიტული.

#ნიგნებისთაროMEDIA - საქართველოს პირველი არხის ახალი აპლიკაცია ახალგაზრდებისთვის. პროექტის სლოგანია - „ასახე აწმყო და შექმენი მომავალი“.

პროექტის მიზანია, მთელი საქართველოს მასშტაბით გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები, როგორც მოსწავლეები, ასევე სტუდენტები.

აპლიკაციის ფარგლებში სხვადასხვა კონკურსი იმართება. გამარჯვებულ ავტორებს გადაეცემათ პრიზები.

საქართველოს პირველი არხი ახალგაზრდა თაობისთვის ყველაზე მოსახერხებელ პლატფორმაზე მოსწავლეებს მათემატიკის ონლაინ გაკვეთილებს სთავაზობს - „ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები“, რომლის საშუალებითაც ბავშვებს შეუძლიათ სკოლის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მასალის ცოდნა უფრო გაიღრმავონ.

საქართველოს პირველი არხი რამდენიმე წელია, ტრადიციული მაუწყებლიდან მულტიმედიურ ბრენდად გარდაიქმნა. საქართველოს პირველმა არხმა ინტერნეტ პლატფორმა პრიორიტეტულად დაისახა და ქართულ ინტერნეტ სივრცეში ლიდერი პოზიციები დაიკავა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე - 1tv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე, მიმდინარეობს დამოუკიდებელ ვებპროექტებისა და სოციალური მედიისთვის განკუთვნილი პროექტების წარმოება.

საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს საკმაოდ აქტიური ინსტაგრამ გვერდი 20K - მდე გამომწერით. ინსტაგრამზე განთავსებულია როგორც ფეისბუქის გვერდისთვის განკუთვნილი კონტენტი, ასევე განსხვავებული შინაარსის მასალები. მაგალითად, იტვირთება სხვადასხვა შინაარსის ქვიზები, სთორები, გამოკითხვები.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბებისა და რადიოს მობილურ აპლიკაციებს Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

საზოგადოებრივ მაუწყებელს სურს, შექმნას უნიკალური პლატფორმა, რომელშიც განთავსდება სხვადასხვა ტიპის ვიდეოკონტენტი. მობილური აპლიკაციით უნდა დაკმაყოფილდეს იმ აუდიტორიის ინტერესები, რომელიც ამ დროისთვის ნაკლებად არის დაინტერესებული სატელევიზიო ფორმატების ყურებით, თუმცა არ გამორიცხავს აპლიკაციაში სატელევიზიო პროდუქციის განთავსებას და მსგავსი კონტენტის არსებობას.

ახალი მობილური აპლიკაცია გათვლილი უნდა იყოს მრავალფეროვან მომხმარებელზე, რომელსაც საშუალება ექნება, მიიღოს მისთვის საინტერესო კონტენტი თანამედროვე, ხარისხიანი, ინტერაქტიული პლატფორმის საშუალებით.

▶ საქართველოს რადიო

წლის მთავარი გამომწვევები

- რადიოს ეფექტიანობის გაძლიერება
- რადიოს მოქნილობის გაზრდა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე მორგება
- აუდიტორიის გაფართოება
- აუდიტორიის ასაკობრივი სპექტრის გაფართოება
- აუდიტორიის გაფართოება ავთომსმენელის ხარჯზე
- აუდიტორიის მიზნობრივი სეგმენტების მოცვა
- მაუწყებლობის ტერიტორიების გაზრდა და ტექნიკური გაუმჯობესება
- რადიოს ცნობადობის გაზრდა
- რადიოს ოპერატიულობის გაზრდა

წლის მთავარი მიღწევები

- 2019 წლის იანვრიდან წარმოებაში ჩაეშვა 2018 წლის სექტემბერში გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტები;
- მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მაუწყებლობის წვდომის გაუმჯობესების მხრივ. 2019 წლის ბოლოსთვის რადიომაუწყებლობამ მოიწვა მთელი საქართველო. განახლდა არსებული გადასცემები და დაემატა 25 ახალი. წლის ბოლოსთვის საქართველოს რადიოს ემსახურება 52 გადასცემი;
- ავთომსმენელთა უკეთ მოცვის მიზნით, კანთ მათადაბინან სინშირებაზე უკვე გადავიდა ყველა გადასცემი;
- გადასცემები RDS სისტემებით აღიჭურვა. RDS სისტემები უზრუნველყოფს არხის ცნობადობას და ავთომოგილის ერთი სამაუწყებლო ზონიდან მეორეში გადასვლის დროს ახალ სინშირებაზე ავთომატურ გადაყვანას;

- > პროექტი კომუნიკაციების ეროვნული კომისიასთან და თელარადიოცენტრთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა. ის სამი ეტაპისგან შედგებოდა, პროექტის წყალობით, საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე (24 სამაუწყებლო ზონა) საქართველოს რადიო პირველად გაუქმრდა, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე (18 სამაუწყებლო ზონა) მაუწყებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა;
- > რადიოს დაუბრუნდა თავის ისტორიული სახელი - „საქართველოს რადიო“. ამ სახელით იცნობდა მას წლების განმავლობაში აუდიტორია და მარკეტინგულად სწორი სვლაა მისი აღდგენა, რაც თავის მხრივ, ცნობადობის ამაღლებას უწყობს ხელს;
- > შეიქმნა მობილური აპლიკაცია საქართველოს რადიოსთვის. მსმენელს საშუალება აქვს მოისმინოს საქართველოს რადიოს ორივე არხი, ნახოს საქართველოს რადიოს პროგრამა და სხვადასხვა რეგიონში სამაუწყებლო სიხშირეების ჩამონათვალი;
- > გამოიცა დისკები მსმენელის ყველაზე საყვარელი გადაცემის „ქართული კლასიკური მწერლობა“, რომლის ავტორი და წამყვანი თამაზ ძყვალაძე და რომელიც მწერლობის კოკულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს პრეზიდენტმა „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვა;
- > მიმდინარეობს არხის მუსიკალური ბაზის გადახალისება. აქცენტი კეთდება გამომწვევიან მუსიკაზე - ქართული ესტრადის, ფოლკლორის, უცხოური და კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშებზე;
- > გაიზარდა სინფორმაციო გამოშვებების წილი, ერთი საათის განმავლობაში მას საათის მეოთხედი უჭირავს და ყოველი საათის 25 წუთზე და სრულ საათს 10 წუთი რომ დააკლდება, ოკეარატიულად აწვდის მოსახლეობას ინფორმაციას;

რადიოს საინფორმაციო სამსახური

საანგარიშო პერიოდში საქართველოს რადიოს ეთერში პირველი არხის საინფორმაციო სამსახურის მაუწყებლობის ფორმატი შეიცვალა და მისი ინტენსივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. შაბათ-კვირას აუდიტორიის ქცევის გათვალისწინებით, ეთერში მხოლოდ 10-წუთიანი გამოშვებები გადის.

ამასთან, საქართველოს რადიოს აპლიკაცია აუდიტორიას საინფორმაციო გამოშვების მოსმენის ახალ შესაძლებლობებს აძლევს.

მსოფლიო ამბები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს რადიოს ეთერში დაიწყო ყოველკვირეული ანალიტიკური პროგრამა მსოფლიო ამბები. გადაცემა წარმოადგენს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვასა და ანალიზს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ექსკლუზიური ინტერვიუები უცხოელ ექსპერტებთან, პოლიტიკოსებთან და სამხედროებთან. პროექტი მულტიმედიურია და ამ გადაცემის მასალები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს საქართველოს პირველი არხის ინტერნეტ პლატფორმისთვის.

დაფორმატდა და დაემატა ახალი თემატური რუბრიკები დილის და საღამოს ეთერის გადაცემებს.

განახლებულმა რადიო კონტენტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსმენელის ასაკობრივი ჯგუფების დაბალანსებაზე. რადიოს გადაფორმატების პროექტი მიზნად ისახავდა რადიოს ეფექტიანობის გაძლიერებას, აუდიტორიის და ასაკობრივი სპექტრის გაფართოებას, რადიოს მოქნილობის გაზრდას და თანამედროვე ტენდენციებზე მორგებას.

ახალი სტუდია

დაიგეგმა ლიტდრამის სტუდიის მოდერნიზება, გარემონტება და სააპარატო სტუდიის ახალი აპარატურით აღჭურვა, რათა ეროსი მანჭგალაძის სახელობის სტუდიამ შეძლოს თანამედროვე გამოწვევების დაძლევა და მაღალი ხარისხით ჩაიწეროს თეატრალური, მუსიკალური გადაცემები.

არქივი

საქართველოს პირველი არხის არქივი წარმოადგენს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს კულტურულ საგანძურს.

2019 წლის განმავლობაში არქივის სამსახური ახორციელებდა ძველი აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალის შესწავლას, ანოტირებას, მონაცემთა ერთიან ბაზაში ინფორმაციის შეყვანას და ციფრულ მატარებელზე გადატანას.


გასული წლის მთავარი მიღწევა იყო სამი ახალი პროექტის დაწყება, რომელიც ვიზუალურ ფონდში დაცული მასალების საფუძველზე მზადდება: ეს პროექტებია „ტელემუზეუმი“, „რადიომუზეუმი“ და „ქართული მწერლობის აუდიოანთოლოგია“.

„აუდიოანთოლოგია“ ივსება აუდიოფონდში დაცული უნიკალური ჩანაწერებით, სადაც ქართველი მწერლები თავად კითხულობენ საკუთარ ნაწარმოებებს, იმ რამდენიმე მწერლის გარდა, რომელთა ხმაც არ არის ფონდებში დაცული. მათ ნაწარმოებებს კითხულობენ ცნობილი ქართველი მსახიობები.

„ტელემუზეუმი“ გათვლილია სატელევიზიო და ვებპლატფორმისთვის. არქივის ფოტოფონდში დაცული ფოტოების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ფოტომატიანე შეიქმნება.

დაწყებულია პროექტ „რადიომუზეუმის“ ტექნიკური სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებლისთვის საქართველოს პირველი არხის აუდიოარქივის მასალების გაცნობას ვებპლატფორმის საშუალებით.

2019 წელს არქივს ესტუმრა სომხეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ხელმძღვანელი, რომელმაც შეისწავლა ჩვენი არქივის მდგომარეობა და გაგვიზიარა საკუთარი გამოცდილება მის ციფრულ ფორმატში გადაყვანისთვის საჭირო სამუშაოების წარმოების შესახებ.



**დამოუკიდებელი
პროგრამებისა და მათი
მწარმოებლების შესახებ**

4



2018 წელს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს პირველი არხის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება გარეწარმოების პროექტების შესახებ.

საზოგადოებრივ მაუწყებელს გაუჩნდა შესაძლებლობა, აუდიოვიზუალური ნაწარმის შესყიდვისას უპირატესობა მიანიჭოს ხარისხს.

2017 წელი

გარეწარმოება

0%

შიდაწარმოება

100%

2019 წელი

გარეწარმოება


14%

შიდაწარმოება

86%

▶ გარანტირებული გადაცემები

- > „მასტერშეფი“ - 2018 წელს საქართველოს პირველმა არხმა კომპანია „ენდემოლისგან“ შეიძინა კულინარიული მებაშრუს Master Chief წარმოების ლიცენზია. ლიცენზიანთ კომპანიასთან მოლაპარაკების ერთ-ერთი პირობაა, პროექტი აწარმოოს მებაშრუების წარმოების მინიმუმ ხუთწლიანი გამოსვლილების მეორე ჯგუფმა. პროექტი განხორციელდა სტუდია „ნოვა პროდაქშენმა“, რომელიც „ენდემოლის“ ყველა მოთხოვნას (კრიტიკიუმს) აკმაყოფილებს.
- > „საქართველოს ვარსკვლავი“ - პროექტს კომპანია „ნოვა პროდაქშენი“ ახორციელებს.
- > „ბიზნეს პარტნიორი“ - გადაცემა მზადდება საქართველოს პირველი არხისა და „ბიზნეს მედია კორპორაციის“ თანამშრომლობით.
- > „კაცები“ - გადაცემა მზადდება TV11-ის მიერ.
- > „რა? სად? როდის?“ - ქართულ ტელევიზორებში 1996 წლიდან არსებობს და დღემდე სწორედ პირველ არხზე შედგა. წარმატებული მოლაპარაკება შედგა გადაცემის შემოქმედებით ჯგუფსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტს შორის. მაუწყებლის დაინტერესება, პირველ რიგში, განაპირობა გადაცემის შემეცნებით-ინტელექტუალურმა შინაარსმა.



**საზოგადოებრივი აზრისა
და სამაუწყებლო ბაზრის
კვლევის შედეგების
შესახებ**

5



2019 წლის განმავლობაში შესწავლილ იქნა სატელევიზიო ბაზარზე არსებული მონაცემები, მზადდებოდა კონკურენტული არხების სატელევიზიო ბადის და პროგრამების შედარებითი ანალიზი.

ამავე წელს ჩატარდა თვისობრივი კვლევა - ფოკუს ჯგუფები. კვლევის მიზანი იყო საქართველოს პირველი არხის ყოველდღიური გადაცემების - „ახალი დღე“ და „ნაშუადღევს“ შესწავლა.

კერძოდ, ივნისში “სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“ (INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS), რომელიც შეირჩა ტენდერის საფუძველზე, პირველი არხის დაკვეთით, ჩატარა სოციოლოგიური კვლევა. კვლევა ჩატარდა თვისობრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ, ფოკუს ჯგუფის გამოყენებით; კვლევას ჰქონდა რაოდენობრივი კომპონენტიც - დღიურის გზით გადაცემების შეფასების მეთოდი, ფორმალური სკალების გამოყენებით.

კვლევის ამოცანა:

- გადაცემაების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- გადაცემაების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- გადაცემაების შედარებითი ანალიზი კონკურენტ პროგრამებთან მიმართებაში;
- სარეკლამო-დაცემო კამპიის შეფასება.

2020 წელს იგეგმება საბაზისო რაოდენობრივი კვლევა, რომელიც შეისწავლის ქართულ მედიაბაზარზე არსებულ მდგომარეობას, საზოგადოებრივი მაუწყებლის პოზიციონირებას, გამოიკვლევს, რა გავლენას ახდენს ტელეყურებადობაზე ახალი, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება.

ვებკლათფორმის 1TV.GE სტატისტიკა

საქართველოს პირველმა არხმა ქართულ ინტერნეტ სივრცეში ლიდერი პოზიციები დაიკავა, რასაც საერთაშორისო მთვლელების მონაცემებიც ადასტურებს.

პირველმა არხმა ჩაატარა კვლევა, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო მთვლელის alexa.com-ის, youtube.com-ისა და google analytics-ის მონაცემებს. კვლევაში, ასევე, გამოყენებულია ინსტრუმენტები: social-backer.com, noxinfluencer.com და socialblade.com.

სტატისტიკა აჩვენებს პირველი არხის ვებპორტალის ლიდერ პოზიციებს. საქართველოს პირველი არხი ასევე ლიდერია Youtube-არხებს შორისაც.

ზრდა - 91.35%

2019	2018
ვიზიტი საიტზე - 47,423,590	ვიზიტი საიტზე - 24,783,444
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 83,300	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 53,000
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 130,000	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 68,000
მედიამალური მარკეტინგული - 409,160 (29ოქტომბერი, 2019)	მედიამალური მარკეტინგული - 203,978 (15 ივლისი, 2018)


ნუთუბ არხების სტატისტიკა

2019	2018
ნახვა - 118,935,807	ნახვა - 61,428,014
საშუალოდ დღეში ნახვა - 325,851	საშუალოდ დღეში ნახვა - 168,295
მედიამალური მარკეტინგული - 937,000 (18 ნოემბერი, 2019)	მედიამალური მარკეტინგული - 800,571 (16 მარტი, 2018)


ფაისბუქვერდი


ვიდეოების საერთო ნახვა - 92.6 მილიონი - წინა წელთან შედარებით ნახვები გაზრდილია 67.8 პროცენტით.

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 2.7 მილიონი - წინა წელთან შედარებით გაზრდილია 154 პროცენტით.



გვერდის საერთო ლაიკების რაოდენობა - 301,185 გაზრდილია 21%-ით





**განხილული სარიკრების
რაოდენობისა და
შინაარსის შესახებ**

6



ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2019 წლის განმავლობაში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2019 წლის 12 აპრილს საჩივრით მიმართა ა(ა)იპ „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდმა“ მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის თაობაზე. ფონდმა საჩივრით მოითხოვა საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ გავრცელებულ სადავო ჩანაწერებთან მიმართებით „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-12 მუხლის, მე-13 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების დარღვევის დადგენა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა.

თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს/სააპელაციო ორგანოს მიერ საჩივარი დაკმაყოფილდა.

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს 2019 წლის 19 ნოემბერს განცხადებით/საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა. საჩივრის ავტორი ითხოვდა საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ გასული სიუჟეტების გამო შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებისას დადგენილი ყოფილიყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მხრიდან

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 31; 32(1;2); 33(2;3;4) და 56(2) მუხლების დარღვევა.

თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის დასკვნის საფუძველზე, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში/სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში.

3. ზემოთ აღნიშნული საჩივრების გარდა, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ 2019 წელს, სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო ასევე ორი წერილი, რაც თვითრეგულირების ორგანოს მიერ არ იქნა განხილული და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გაკეთდა შესაბამისი განმარტებები.

2018 წლის ანალიზი ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით

განხილული საჩივრების რაოდენობა	საჩივრის დაკმაყოფილება ბის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება ბის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის დაკმაყოფილება ბაზა უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა
3	0	2	0	1

2019 წლის ანალიზი ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით


განხილული საჩივრების რაოდენობა	საჩივრის დაკმაყოფილება ბის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება ბის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის დაკმაყოფილება ბაზა უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა
0	0	0	0	0

2018 წლის ანალიზი თვითრეგულირების ორგანოში წარმოდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით

წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა	საჩივრის დაკმაყოფილება ბის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება ბის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის დაკმაყოფილება ბაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის განხილვაზე დატოვების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა
3	0	2	0	1

2019 წლის ანალიზი თვითრეგულირების ორგანოში წარმოდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით

წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა	საჩივრის დაკმაყოფილება ბის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება ბის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის დაკმაყოფილება ბაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა	საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილება ბათა რაოდენობა
4	1	0	1	2



**საჭარო განხილვების
შინაარსისა და
მოქალაქეთა
წინადადებების შესახებ**

7




სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭომ 2019 წელს ღია სხდომა გამართა 21-ჯერ. სხდომაზე დასწრების და აზრის გამოხატვის უფლება კანონითნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს.

2019 წელს გამართულ სხდომათა უმრავლესობას დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ და საბჭოს წევრებისგან დეტალურ ინფორმაციას იღებდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების წარმოდგენის და განხორციელების უზრუნველსაყოფად, სამეურვეო საბჭომ მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებების ფარგლებში საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის მიზნით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების მიერ საწყის ეტაპზე ოთხ რეგიონში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და იმერეთი) საკონტაქტო პირები შეირჩა, რომელთა ორგანიზებით სამეურვეო საბჭოს წევრებმა განახორციელეს რეგიონული შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან. საჯარო განხილვები საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივ თემატიკას ეხებოდა.

საანგარიშო პერიოდში სულ გაიმართა ოთხი წარმომადგენლობითი შეხვედრა - ქუთაისი, მარნეული, ახალციხე და გორი.



**ტექნიკური
უზრუნველყოფის
სამსახური**

8

შესრულებული სამუშაოები:

- > 2019 წლის I კვარტალში ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მუშაობის შეწყვეტის გამო, დამონტაჟი გაუკეთდა საზოგადოებრივი მაუწყებლის კუთვნილ საბელაჟირო ინფრასტრუქტურას. საბელაჟირო აპარატურა განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში.
- > „სს სილქნეტის“ საკაბელო არხში ჩაიდო ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობიდან თბილისის „ივეთ ჰოლის“ (ფილარმონიის) საკონცერტო დარბაზამდე. მოძრავი საბელაჟირო სადგური დაუკავშირდა მაუწყებლის ცენტრალურ სააპარატოებს და უზრუნველვყავით საბელაჟირო შოუ „საქართველოს ვარსკვლავის“ პირდაპირი ეთერი.
- > საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სეგმენტის გადაცემების - „რანინა“, „აკუსტიკა“ და „ღამის შოუ“ - მაუწყებლის მე-3 სტუდიაში ჩაწარების უზრუნველსაყოფად, „ფლანო-ქაისაბი“ განთავსებული მოძრავი საბელაჟირო სადგური ე.წ. „პიპი“ დამონტაჟდა მე-3 სტუდიის სარეჟისორო სააპარატოში სტაციონარულად. ასევე გამოვიყენეთ ქუთაისიდან ჩამოტანილი ტექნიკა, მათ შორის ოთხი დისტანციურად მართვადი ვიდეოკამერა.
- > საზოგადოებრივი მაუწყებლის ოთხ სტუდიაში დამონტაჟდა ახლად შეძენილი LED ეკრანები.
- > საზოგადოებრივი მაუწყებლის ოთხ სტუდიაში დამონტაჟდა ახლად შეძენილი სტუდიური განათების აპარატურა.
- > მოხდა პირდაპირი ეთერის გახმოვანების სტუდიაში ოპტიმიზაცია, რამაც საშუალება მოგვცა, სკორტული ღონისძიებები გავხმოვანოთ პირდაპირ ეთერში სხვა გადაცემების ჩაწარის პარალელურად.
- > პირველი არხის საეთეროში დამონტაჟდა ახალი HD კომპიუტერული ვიდეო აღწარმოების სერვერი, რომელიც წარმოადგენს არსებული სერვერის რეზერვს.

- გაუწყობლის პირველ სართულზე „მრავალფეროვანი საქარტველო“ სტუდიაში დამონტაჟდა სინერგული თარგმანის აპარატურა, რომელიც შექმნილია აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით. აღნიშნული აპარატურის დამონტაჟების შემდეგ სინერგული პროგრამა „მოაგვის“ პირდაპირ ეთერში სინერგული თარგმანე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ხორციელდება გაერთიანებული სტუდიიდან.

გავრცელების კლათფორმები

შესრულებული სამუშაოები:

რადიოგაუწყებლობა:

- საზოგადოებრივი გაუწყობლის, „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ და ეროვნული მარაგულირებადი კომისიის მიერ მომზადებული სინქროული გეგმით, გათვალისწინებული იყო რადიო საგაუწყებლო სადგურების დამატება არსებულ ქსელში. სრულად ჩატარდა კუნთებზე სინსთალაციო და ტექნიკის ჩანაცვლების სამუშაოები. რადიოგაუწყებლობის კუნთების საერთო რაოდენობა 50-მდე გაიზარდა.
- მოხდა ახალი სადგურების მონტაჟი და დაინსტალირდა ახალი მოდულატორები RDS ავტომატური სინქროის ძიების მხარდაჭერით და დაზოგბული მართვით.
- დაიგეგმა რადიო საგაუწყებლო ქსელის განვითარება 2020 წლისთვის.
- მიღებული დაფარვის ხარისხის შესამოწმებლად შექმნილ იქნა შესაბამისი FM მონიტორინგის ტექნიკა. ხელსაწყო საშუალებას მოგვცემს, ვაწარმოოთ გასვლითი გაზომვების სამუშაოები.

ტელეაუწყებლობა:

- DVB-T2 სატელევიზიო გავრცელების კლასიფიკაცია მუშაობდა სანიმდომოდ. შესწავლილ იქნა თანმდევი აუდიო არხების ნაკადური სიჩქარეების გაზრდის შესაძლებლობის საკითხი. პროგრამირებაში მუსიკალური და მხატვრული შინაარსის კონტენტის დიდი წილის არსებობის შემთხვევაში, სასურველია თანმდევი ხმის ნაკადის გაზრდა გადაცემული აუდიო კონტენტის ხარისხის ასაბეზოებლად.

სატელიტური კლასიფიკაცია:

- 2019 წელს ჩატარებულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საერთაშორისო ღონისძიებების სიგნალის მიღების და ტრანსლირების ხარისხი და სანიმდომობა.

მონიტორინგის, ტექნიკური კონტროლის მონაცემები:

- 2019 წლის ბოლოს განხილული გადაცემების ქსელის უზრუნველყოფილი დაფარვა გადამოწმდა შიდა გამოკითხვით. რადიოაუწყებლობის ქსელის ფუნქციონირების შეფასება უმრავლეს შემთხვევაში დადებითია. დაიგეგმა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა დაფარვის ხარისხის კონტროლის და რეგულირებადი მონიტორინგის მონაცემებისთვის. ამავე ჯგუფის მიერ მოხდა გასვლითი გაზომვების შედეგების დოკუმენტირება და სისტემატიზაცია.

ინფორმაციული ტექნოლოგიები:

- განხორციელდა აუწყებლის ინტარნეტ პროვაიდერის ცვლილება ჩატარებული ტენდერის შესაბამისად;
- განხორციელდა აუწყებლის FTP კოლოკაციის პროვაიდერის ცვლილება ჩატარებული ტენდერის შესაბამისად;
- განხორციელდა აუწყებლის სტრუქტურის ოპტიმიზაცია ჩატარებული ტენდერის შესაბამისად;
- მოეწყო ადგილისტრუქტურული სართულის ქსელური ინფრასტრუქტურა (80 სამუშაო წერტილი), დაინსტალირდა ქსელური მარშრუტიზატორები და უკაბელო წვდომის წერტილები;

- > გე-2 კორპუსში ჩატარდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა (30 წარტილი);
- > დამოთავდა გარე პერიმეტრის უსაფრთხოების ახალი კამერები და „სვიჩები“, გაყვანილ იქნა მაგისტრალური ქსელები;
- > მოგერიებული იყო რამდენიმე გლობალური ჰაკერული თავდასხმა, მოხდა დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა;
- > შედგა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების გეგმა და განისაზღვრა უსაფრთხოების გაზრდის პოლიტიკა;

მომზადებული და შესრულებული ტენდერები:


- > ვიდეოსამონტაჟო და გრაფიკული სამუშაო სადგურების შესყიდვა - 08.02.2019
- > ვიდეოსამეთვალყურეო კამერის სახელმწიფო შესყიდვა - 21.02.2019
- > ანტივირუსის პროგრამული პაკეტების სახელმწიფო შესყიდვა - 27.03.2019
- > კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები - 02.04.2019
- > ვიდეოსამონტაჟო და გრაფიკული სამუშაო სადგურების სახელმწიფო შესყიდვა - 22.04.2019
- > ქსელური შემნახველი მასივების (NAS) სახელმწიფო შესყიდვა - 25.10.2019
- > ინტარნეტ მომსახურების (ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხით) სახელმწიფო შესყიდვა - 12.11.2019
- > FTP სერვერის კოლოკაციის მომსახურების სახელმწიფო
- > ვიდეოსამონტაჟო და გრაფიკული სამუშაო სადგურების სახელმწიფო შესყიდვა - 27.11.2019

ტექნიკური სამსახურის მიერ შესრულდა ტექნიკური დაგეგმარების, საპროექტო და სატენდერო შესყიდვების დოკუმენტაცია.

მაუწყებლის ტელე-რადიო არხების, ახალი ამბებისა და მედია წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღების გეგმის ფარგლებში, განი-საზღვრა დეტალური ტექნიკური მახასიათებლები და მომზადდა შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგი პროექტებისთვის:

- მოძრავი სატელევიზიო სადგურები:
16-კამერიანი მოძრავი სადგური სვორთული, მუსიკალური და სხვა წარმოებისთვის
4-კამერიანი მოძრავი სატელევიზიო სადგური.
- არხების მაუწყებლობის ავტომატიზაცია:
ავტომატიზირებული მაუწყებლობის აპარატულ-პროგრამული კლათფორმა, სააპარატოები და ინფრასტრუქტურა.
- მაუწყებლობის დაგეგმარების და მართვის (ტრაფიკის) აპარატულ-პროგრამული სისტემა.
- ფილური და ფაილური ინჯასტის აპარატულ-პროგრამული სისტემა.
- მედია ასეტების მართვის აპარატულ-პროგრამული სისტემა.
- საწარმოო და ოფისის ქსელური ინფრასტრუქტურა:
მედია წარმოების ქსელური ინფრასტრუქტურა;
ოფისის და ნიუსრუმის ქსელური ინფრასტრუქტურა.
- მედია წარმოების და ახალი ამბების სერვერები და სანახი მასივები.
- მედია სიგნალების ტრანსპორტის სისტემები:
 - ა. პირდაპირი სიგნალების ციფრული მოძრავი სარკალო ქსელი;
 - ბ. ცენტრალური მილების ინფრასტრუქტურა;
 - გ. სიგნალების მაგისტრალური გადაცემის დუბლირებული სისტემები.

- > სიგნალების 3/4G GSM ქსელებით გადაცემა სისტემა.
- > მება მუსიკალური ზოუნების და კონცერტების წარმოების აუდიო სისტემა:
 - ა. საეთერო, დამხმარე და FOH წარმოების კონსოლები;
 - ბ. უკაბელო მიკროფონების და მონიტორინგის სისტემები;
 - გ. კაბელისანი საკონცერტო მიკროფონების სისტემა;
 - დ. დარბაზისა და სცენის განმარტების სისტემები;
 - ე. დამხმარე ტექნიკა და აქსესუარები.
- > ახალი აგების წარმოება და მანუყაბლობა:
 - ახალი აგების დაგეგმარების, მართვის, მომზადების, მენეჯმენტის, ვიდეო-აუდიო მონტაჟის, მადიის ინტეხსტის, მადიის მართვის, ვირდაპირი ეთერის დაგეგმარების და მართვის, ასევე არქივაციის და სხვა სისტემები.
- > ახალი აგების საავარათობი/სარეჟისოროები და სტუდიები:
 - სტუდიური კამერების კომპლექტები - კამერები, არხები, მართვა, ოპტიკა, კედესტალები, სუფლიოროები, მონიტოროები, საოპერათორო ამწადა სხვა.
- > სკორტული რეკორტაჟების საკომენტორო IP ავარათურა და საკონტრიბუციო სატელიტური მიმღებები.
- > სათარიგო ნაწილების და მასალების დოკუმენტაცია.
- > სტუდიური მუედლოდური ვიდეოკედლების კომპლექტები.



**საზოგადოებრივი
მედიის მონაწილეობის
წლის ბიუჯეტის შესახებ**

9




2020 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში 58,395,000 ლარს მიიღებს. მომავალ წელს კომერციული საქმიანობიდან დაგეგმილია 2,654,376 ლარის აკუმულირება. ასევე, წლის განმავლობაში იგეგმება კომერციული კრედიტის აღება 41,647,754 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2020 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მთლიანი ბიუჯეტი 102,697,130 ლარით განისაზღვრა.

ხაზინა	58,395,000
კომერციული შემოსავალი	2,654,376
კრედიტი	41,647,754
ჯამი	102,697,130

2020 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მაუწყებლის სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქვადანყოფილება	2020 წელი
სამაუროვო საბჭო	875,925
გან. დირექტორის აპარატი და დაქვემდებარებული სამსახურები	3,587,571
ახალი და მიმდინარე პროექტები	12,343,778
მედია	8,529,543
მედიაწარმოება	10,791,969
წარმოება და ტექ. უზრუნველყოფა	51,772,614
ფინანსები და ადმინისტრაცია	4,591,797
